 ტი წლას განმავლობაში ყველა იმისი ნაწარმოები ებეჭდა. კადემ  
 გადადგა მან ერთი ნახ. ჯი, რამელმაც თუმცა უსაფუძვლოდ, მაგ-  
 რამ მინც დიდი მისლას მისცა ხელში იმის უთავლავ მტრებს — ს-  
 ფრანგეთის მთავრობისგან მიიღო წლიური დახმარება 4,800 ფრან-  
 კი იმ ჯამიდან, რამელიც გადადებული იყო ზოლიტიკურ ემიგრან-  
 ტების სასარგებლოდ. ეს სუბსიდიო ეძლეოდა იმას 1838 წლიდან  
 1848 წლამდე. თუ სახეში შივიდებოთ იმ ფაქტს, რამ ჭეიხუ სწერ-  
 და ამ წლებში სფრანგეთის მთავრობაზე, რამდის განაცხად იმას შემ-  
 წვობა ეძლეოდა, ცხადია ვერ არის დამაზი ამ დახმარების მიღება,  
 თუმცა უფულებივი სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, თითქოს და-  
 დებული ზოტი დაქირავებული ყოფილიყოს, კიდევ ერთი ნახაჯი  
 ჭეიხუსი, რამელიც იმას არაფერ შემთხვევაში არ ეხატებოდა და წა-  
 უშლელ ჩირქად დახება იმას დიდებულ სახელზე, ჩვენ გამომბო-  
 წიგნზე „ბერეს შესახებ“, იმ პასკვილებზე, რამელიც მან დასწერა  
 ბერესზე, ამ გერმანიის უკუაწერელებს და უუნატიოსნებს ზუბლიცის-  
 ტსა და თავისუფლებისთვის მებრძოლზე. ამავე პერიოდში დაწერი-  
 ლი იმისი „ატტა-ტროლი“ (1842) „ახალი ლექსები“ (1844)  
 „გერმანია — საზამთრო ზღაპარი“ (1844 წელიწადი); „ახალი ლექსებ-  
 ში“ ჭეიხემ აიღო ხელში სტერიკოსის მთრახნი და შეუთრადებლად  
 დაეცა თავზედ მტრებს. ამავე გზას ადგია მისი „გერმანია“ — ეს  
 „ბრლიანტი ხეშტური სტერიკული დიკრატურისა“ გამომვიდა თუ



არა ეს „ზღაპარი“ — ის იმ წამსვე აღერდალულ იქმნა უფლებების, ხელ-  
 ლა სწავლარზე მეტად ზოლიცაის ფიცხელი ბრძანება მისცეს — დაუ-  
 უხებელი და ტუსადონ იმისი ავტორი, თუ გერმანიის ტერიტორი-  
 აზე იქნა დადგინდა. „მე აქედან მესმის განკაში ერთგუების იმ ფა-  
 რისკულებისა, რომლებიც ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიან ნემსების  
 მთავრებებთან ერთად — სწერს იგი ამ „ზღაპრის“ წინასიტყვაობა-  
 ში, — რომელთაც დიდ ზატოვსა სცემენ, დიდი სიუჟარულით კვიდე-  
 ბის ტენზორები და რომლებიც ზრესას ტანს აძლევენ, როცა ს-  
 ჭირთა თავდასხმა იმ მტრებზე, რომლებიც ამავე დროს მათი წარ-  
 ხინებელი ზრანციზალების მტრებიც არიან... მე მესმის მათი ხმა:  
 „შენ ჩირქს სცხებ ჩვენს დროშას, სამშობლოს მოღალატე, ფრან-  
 კების მეგობრო, რომელთაც გინდა დაუთმო ჩვენი რეანი“. დამ-  
 შვიდდით ბატონებო! მე დიდი ზატოვისმცემელი ვიქნები თქვენი  
 დროშის, როცა ის ამის ღირსი იქნება... აფორიალეთ ის ნემსეთა  
 აზრთაების მწვერვალზე, აქციეთ ის შტანდარტათ თავისუფალ კ-  
 ცობრიბობისა და მე დაფუფრთ იმისათვის ჩემი გულის საუკეთესო  
 სისხლს! დამშვიდდით, მე თქვენზე ხაკლებ არ მიუყარს ჩემი სამ-  
 შობლთ, ამ სიუჟარულის წყალობით მე უკვე ცამეტა წელია განდევ-  
 ხილი ვარ სამშობლოდან და სამუდამოთვე განდევნილი ვიქნები“...

და როგორც ვიცით, ის განდევნილი მოკვდა უცხოეთში.  
 კადაციცვალა სოლომონ ჭეიხე და ზოტმა გაიგო, რომ თავის  
 ანდერში არ მიახსენია, ამ გარემოებამ ის ერთხელ კიდევ მიიყვ-  
 ხა ისეთ თავის დამტარებამდე, რომელიც მძიმე შთაბეჭდილებას ა-  
 დენს იმის მრავალ რიცხოვან თავგანის მცემლებზე, მაგრამ ამ უ-  
 მად ცოტადენ შემასუბუქებულ გარემოებათ უნდა ჩათვალდეს ზო-  
 ტის ღოგინად ჩავარდნა. დიდი დაჟინდარობის შემდეგ ბანკირის შემ-  
 კვიდრებმა დაჟინდრეს ჭეიხეს ზენსია, სამაგიეროდ ჭეიხემ ზირთბა  
 დასდო, რომ არაოდეს არ დაიბეჭდებოდა იმისი შემუარების ის ხაწი-  
 ლი, სდაც იმის ხათესავებზე ცუდი რამ ეწერებოდა...

ჭეიხე არაოდეს არ ყოფილა ჯანსაღი ადამიანი — ის მუდამ იტან-  
 ჟებოდა თავის ტკივილით, ხერკების აშლით, თვალთა ხედვის სი-



სუსტი, ხელის მარადიანად და სხ. თან ის თვითონ უწყობდა ხელს სხეულების განვითარებას. ჯერ კიდევ იმისი ბიძის სიკვდილის დროს ცალი თვალი იმას სავსებით დაეკარა, ხოლო მეორე თვალი-თავ ცუდად ხელდავდა. უსიამოვნებამ ბიძის სიკვდილის შემდეგ ავად-მუყოფაზე ზედ მეტად განვითარა. აუტანელად იტანჯებოდა ჩუნი ზოკტი. 1847 წელში ერთი მისი მეგობრის სიტყვით ჭეინუ მსოფლოდ ჩინჩის წარმადებდა, მარჯვენა თვალის სანახევროდ დასკობდა. მიუხედავად ამისა ის დიდის უურადლებით აღებებდა თვალ-უერს ზოლიტეურ ცხოვრებას და 1848 წლის თებერვლის რევოლუციამ ის თითქმის გამაცოცხლა სხეობრივად. ამ წლიდან (1848) ის სიკვდილამდე ფეხზე აღარ დამდგარა—სხეულება ისეთი იყო, რომ თან და თან რთულდებოდა, თუმცა ბოლომდე ხელა ნაბიჯით შადიოდა... და თუმცა სხსტიკად იტანჯებოდა ის, მაინც ხუმრობდა: „ახ,—მე არიყენ ღვთაება აღარ ვარ... ხეტავი თუ მართლა არის აღამიანი არიყენ ღმერთი“.

აუტანელ ტანჯვას და წვალებაში იცოცხლს იმან 1856 წლამდე და უკანასკნელ წამამდე იმას კალაში ხელადან არ გაუგდია. 16 თებერვალს იმ წლისა, სადილს შემდეგ მან მოითხვავა ქადალი და კარანდაში, მაგრამ კარანდაში იმას ხელიდან გაუვარდა, დაიწყო აგონია და 17-ს სუელი განუტევა. ის ათავებდა თავის „მემუარებს“, რომლის მსოფლოდ დასაწყისი არის ცნობილი, რა დემართა დახარჩენს არავინ იცის, იციან მსოფლოდ, რომ ის ჩუყარდა ხელში იმან მას, რის შემდეგ იმისი გზა-კვალი არავინ უნახავს...







უწვდი იმათ ხელს, სჯობია დაიძინოვო!“. ჩემი არ  
 შინ სიხარული და სიყვარული? ვანა მაშინ მომადგინდა  
 სატრფოსთან ერთად გველი? ჰო და აბა რათ მიყვარდა მა-  
 შინ ჰეინე, ეს უბადლო გამომხატველი უიმედო, გატრუებუ-  
 ლი სიყვარულისა!... პოეტი, რომელსაც ის, ვინაც მრავალი  
 საუკუნოების განმავლობაში უყვარდა, რომელსაც დაეძებდა  
 მთელ ქვეყანაზედ სევდიან ალსავე სულით და რომელიც და-  
 ბოლოს ზღვის უფსკრულში დაინახა, რომელიც ბავშური ჯი-  
 ნიანობით გაურბოდა — რათ მიყვარდა მენეს პოეტი მაშინ,  
 როცა ჩემი სატრფო ჩემთან იყო, როცა არაგვიტარი იქვე არ  
 აბნელებდა ჩემს ნათელ დღეებს და ჩემს გიზანს!... რათ მი-  
 ყვარდა პოეტი, რომელმაც გიჟური სიზმარი უწვდა თავის  
 სიყვარულს, რომელმაც თავისი შეუდარებელი ლექსების კრე-  
 ბული ასეთი სიტყვებით დააბოლოვა: „ეს წიგნაკი მხოლოდ  
 ყუთია, ჩემი სიყვარულის ფერფლით აღვსილიო!“ მე, გამო-  
 უცდელსა და ბედნიერს, მე რა მქონდა საერთო ამ პოეტთან!...  
 აბა რა ვიცი, მეგობარო მკითხველო, ვიცი მხოლოდ რომ  
 მიყვარდა ისე, როგორც მიყვარს დღეს!... აქი ცნობილი ნი პი-  
 გაქრა „ვითა სიზმარი ღამისა“ ეს მშვენებელი დრო. ბევრს  
 ალაგას ჩემი გული დღეს პარტახს წარმოადგენს: იქ, სადაც  
 მას ეამსა შინა, ყვაოდა რომელიმე ძვირფასი ყვავილი, დღეს  
 იმ ყვავილის საფლავილა დაჩენილა ჩემს გულში. იქ, სადაც  
 დულდა და ცელქობდა რწმენა აღამაინისადმი, სიყვარული მე-  
 გობრისადმი, იქ ეხლა ჩემი გული ტირის, ან მწარეთ იცი-  
 ნის, ან და დიდი ქართველი პოეტის მშვენებელი ლექსი დიდი-  
 ნებსა „ფანტოჯინაზე ნი პოეტე ნი მამე — ინფანტინი ინეზ იუ-  
 ცხინაზე ნიმიე... ნეტავ ვისთვის შენ კისკისობდე! ამცნენ ნობ-  
 ვისთვის იჩენ სიპარდესა, ან იძინებ ნობ, ფანტო-  
 ლუსენენ შენი რაა, რომ ამშვენებოც. ამინებ ნობ. ნემიე-  
 კონ. ნობ შენს დამლუბველს ოსმალეთსა!“ მდგომარეობა მამე  
 მნელია, მეგობარო მკითხველო, როცა დამლუბველ ოს-  
 მალეთის “ ბანაკში ხელავ იმათ ვინც შენთან ერთად ერთ



დროს „ოჩმაღეთს“ ებრძოდენ — იმათ რომ ერთ დროს სებოდნი! ძნელია, როცა ტკბილი მოგონება უცებ საზიზღარ რენეგატის სახეს დაგიყენებს წინ!.. რას იზამ, ასეთი ყოფილა ცხოვრება!.. გაქრა, წავიდა დრო ახალგაზრდა, უზადო რწმენისა... და აი ეხლა, ეხლა არაფერი ახირებული არ არის ჩემს ჰენინესადმი სიყვარულში, ეხლა ეს ბუნებრივია!..

ერთ მშვენიერ დილას გზას გაუდექი. გაზაფხულის დილა იყო ის დილა და ირგვლივ ჩიტები ქიკქიკობდენ. ჩიტები ქიკქიკობდენ ჩემს გულშიც. ვარდ-ყვავილებით იყო ირგვლივ მოქარგული ყველაფერი, ვარდ-ყვავილებით იყო მოქარგული ჩემი გულიც. სუფთა და გამჟღავნებელი ჰაერში შორს, შორს ხედავდენ ჩემი თვალები, ოცნება კიდევ უფრო შორს სწვდებოდა და დიდი, დიდი იყო ჩემი გული, გული ახალგაზრდა, გატაცებული ადამიანისა.

და აი გზა და გზა, გარინდებული, შეყვარებული, უშიშარი და ცნობის-მოყვარე მივადექი ერთი შენობის კარებს. და როცა შევედი ამ შენობაში, საჩქაროდ გადააბრუნეს დიდ ბოქლომში კლიტე და შორს, რამდენიმე წლის სავლელ მანძილზე გადაისროლა ის ჩემს წინააღმდეგ აღმართულმა ხელმა. დამრჩა უკან გაზაფხული, იმისი ყვავილები, იმისი ია-ვარდი. მაგრამ ჩემი გული რომ ჩემთან იყო, ჩემთან ი ყვენ ხომ ჩემი ყვავილები, ჩემი იმედი, ჩემი გულის გაზაფხული, ჩემი რწმენა!..

გამოდგა, რომ ჩემთანვე იყო ჩემი შუღმივი ოცნებაც — მენახა ჰენიე ჩემს ენაზე, ქართულად მოლაპარაკე... ერთ საღამოს ვსცადე აკი ბედი, რამდენიმე ლექსი გადმოვთარგმნე... როცა თითქოს მივალწიე საწადელს, დანარჩენი ნაწილი ღამისა ველარ დავიძინე, ჰენიეს დამცინავი სახე თვალთაგან არ მშორდებოდა... რა ძნელია, როცა საყვარელ არსებას გინდა შესწირო ყველაფერი და თან კი ისეთი ღატაკი ხარ, რომ შენი სურვილისაგან არაფერი გამოდის. მე, დილეტანტს, აბა რით უნდა დამემსახურობია პოეზიის გვირგვინოსანი მეფის, დიდისა და მდიდარი ჰენიეს გული! მაგრამ ერთი ის, რომ ნამდვილ



სიყვარულს უნდა ემსახურო მთელი შენი არსებით, იმის საკუთხეველზედ უნდა მიიტანო, მეორე კიდევ ის, რომ ისეთ ღარიბ ოჯახში, როგორც საქართველოა, ყველაფერი ღირებულებას წარმოადგენს, რასაც კი ამ ოჯახისადმი სიყვარულის დალი აჩნია. მეც გადავწყვიტე პლატონიურ სიყვარულისთვის რეალური სახე მიმეცა და შეძლების და გვარად მეშრომა. მთელი ორი წელი ვიშრომე. ვთარგმნე ყველა ლირიკული ლექსი ჰენესი, ყველა იმისი პოემები: „ჩრდილოეთის ზღვა“ — ორივე ციკლი, „ატტა-ტროლი“, „გერმანია, საზამთრო ზღაპარი“, „შიმინი“, „ვიცილი-პუცილი“, „პრინცესა შაბაში“, „იეგუდა შენ ჰალევი“, „დისპუტი“, „შეუღდექი „გზის სურათების“ თარგმნას, ყველა ამას ვასწორებდი, ვადარებდი დედანს, დრო მიდიოდა, დროს ვკლავდი და ბედს ვმადლობდი...

და აი ერთ მშვენიერ დღეს, (ღმერთმანი, მართლაც რომ მშვენიერი დღე იყო!) ჩემი ორი წლის ნაშრომი სხვა ხელთნაწერებთან ერთად შეკრიბეს და ცეცხლის ალში გასწმინდეს, ფერფლად აქციეს... ხედავდა თუ არა ჰენესს უკვდავი სული ამ საზიზარ საქმეს, ამ უღვთო კოცონს? თუ ხედავდა, ხომ არ ამბობდა — ზოგი ქირი მარგებელია!... რა ვიცი! ვიცი მხოლოდ, რომ ვიდექი შორი ახლოს და... და ვიციინოდი. ვამბობდი: „ტყუილად დაშვრით, ეს, რაც დასწვით მხოლოდ შავია, მხოლოდ ასლია იმ შრომის, რომელიც უკვე სამშვიდობოს არის და თქვენი ბინძური ხელი იმას ვერ მისწვდება მეოქი“...

მეგობარო მკითხველო, მე ვტყუოდი ამ სიტყვებს, გულს თითქოს ვიოხებდი!..

შემდეგ?

შემდეგ გული აღარ მიმდიოდა ხელ-ახლა შეევდგომოდი შრომას. ახალ შრომასაც შეიძლებოდა ძველი ხვედრი ხდენოდა. მხოლოდ დრო გამოშვებით მომაგონდებოდა რა ჰენესს რომელიმე ლექსი, საჩქაროდ გადამქონდა ქალალზე

ნაჩქარევი თარგმანი და საჩქაროდვე ვგზავნიდი სამშვიდობოს. არც დამუშავება, არც დედანთან შედარება, არც შესწორება არათფერი ეს არ შემეძლო, სურვილიც რომ ყოფილიყო. ეს იყო ვარჯიშობა მოწყენილი სულის, უფრო დროს გატარება და ამასთან ჩემი ზიარადა განცდის, ჩემი სულის შეფთავის დადი ან შეიძლება ან აჩნდეს ამ ლექსებს, „თარგმანებს“. იმ დროს მე წყარაც აკრძალული შეჩნდა.

აქ მე ბუნებრივი კითხვა მეზადება: თუ თავს იქცევი, თუ შენვე, ჩემო კეთილო, ხედავ, რომ შრომა შენი ზეზუერია, მაშ რაღათ ბექდავდი, მკითხველი ხარჯში რაღათ შეგყავდა?

თუ შენც, მეგობარო მკითხველო, ეს კითხვა დაგებადოს, ჩემს პასუხს ნუ ელი—ვეროდეს ვერ მოგცემ შესაფერ პასუხს. არ ვიცი მე რათ მოვიქეცი აგრე...

აქ წერტილი უნდა დამესვა, მაგრამ ერთი რამ მომაგონდა. საქმე აი რაშია! ჩვენში დღეს რამდენიმე ახალგაზრდა, ნამდვილი პოეტური ნიჭის პატრონი მწერლები ცხოვრობენ და დიდ იმედებს იძლევიან. შეიძლება რომელიმე მათგანმა მოინდომოს „სირცხვილი მაქამოს“ მე, გამოესარჩლოს ჰეინეს, შეუდგეს იმის შესწავლას და თარგმნას... დიდი სიხარულით, დიდი მადლობისა და „ვაშას“ ძახილით ვუწვდი ხელს ამ მომავალ ჩემს მტერს—მეგობარს და ვეუბნები: „ღმერთი იყოს შენი შემწე“.

ჭ. თღია.

6 აგვისტო 1911 წლის.

ახალციხე.





...ინ როდჷმინ კოტელ ქოროტა იფეცხამ  
 ...იოწინილ ქვეთ ცნშიე იუშიაო  
 ...პრეკონტენ თე პნტონა ქოლოხოზ  
 ...იოპი იწუტ ქენე ბუღთარანონ

...მეშვიდელონენ იპრუნა ნაბგან  
 ...იოჯანა სიმღერაბი...ცნა თაუფაროქინ  
 ...ქინტუიფეც იუიკრობ ქემწუთ

ხელით ძლიერით გრძნეული ციხის  
 დავლენე კარი და შიგ შევედი;  
 იქ წიგნი იდო სიყვარულისა,  
 მას ავაგლიჯე შვიდი ბეჭედი.

...და რაც იმ წიგნში ამოვიკითხე  
 ამ სიმღერებში მსურს რომ ისმოდეს...  
 მოვკვდები მე და ჩემი სახელიც,—  
 ეს სიმღერები კი არასოდეს!..



...ინცო ქიპინ თუნტოტუნ  
 ...იუტბუტბ იუბრეონ თეფცე იწუან  
 ...ქანტქოულს ნებ თე ცშინსიგონ რცე  
 ...იუტე ინტე ცენ ცუწლთეც

.8

...ტოლუტენ უტეწრობნ თინტუნტოტ ინტ  
 ...იგეო ქეცეონეწ თუიფეც გოუცოლ  
 ...იწუტე მბნწლიათ თინა ქოტუნტუნ თე  
 ...იგეოუტქ ქოულტე ბნტოტე ინტ

## 1.

ნახავდი სურათს უცხო მიწდორში,  
რაინდი ვინმე დვას უშიშარი,  
ბრძოლას აპირებს და შეუპოვარს  
მომართული აქვს ხელში ისარი.

მაგრამ ამურნი შემოეხვივნენ,  
მსწრაფლათ აპყარეს რაინდს აბჯარი,  
დაწნეს ბორკილი ყვავილებისა,  
და დაატყვევეს ჩვენი მხედარი.

მეც აგრე შემხვდა — ნახ ყვავილების  
ბორკილში ვზივარ, ვატარებ ამ ჯვარს...  
და შეპყრობილი, შორიდან უქვრეტ  
მსოფლიო ომის თავგანწირულ ჯარს...

## 2.

შეუდარებელ მაისის თვეში,  
ვარდი გაიმსო, გადაიშალა...  
შევხედე ტურფას და უცებ ვიგრძენ,  
რომ ქონებია სიყვარულს ძალა.

შეუდარებელ მაისის თვეში,  
ბაღში აყვებდა მთვრალი ბუღბუღი, —  
ვერ მოვითმინე და ჩემ სულისდგმას,  
გადაუშალე მეც ჩემი გული.

## 3.

ჩემი ცრემლებით მორწყულ მდელოზე,  
უთვალავ ყვავილთ წამოყვეს თავი,  
და ბუღბუღლის ხმად დაიფშენა ველში  
ჩემი გოდება გულის საკლავი.

შემიყვარე და გაჩუქებ ჩემო,  
ჩემსა სიმღერებს, ყვაილებს ჩემსას—  
და შენს ფანჯრის ქვეშ, განთიადისას  
შენ გაიგონებ ბუღბუღლის კვნესას.

## 4.

ოდეს გიცქერი მაგ შავ თვალეზში,  
სევდა წუხილი გულიდან ქრება,  
ხოლო რომ გკოცნი, ჩემო ღვთაებავ,  
იმ ნეტარებას რა შეედრება!..

როდესაც მე შენს ვეყრდნობი მკერდსა,  
ბედნიერი ვარ, უძლევი, გმირი,  
ხოლო რომ მეტყვი—მეც მიყვარხარო,  
მაშინ კი მწარეთ, მწარეთა ვსტირი...

## 5.

მე შენი სახე, ნაზი, ნარნარი,  
ღიღი ხანია სიზმარში ვნახე:  
ფერმკრთალი იყო, მშვიდი იყო ის,  
ანგელოზისა ის იყო სახე.

მხოლოდ ბაგეზე, რთოდა, ელავდა...  
მაგრამ დაიცა,—შავი სიკვდილი  
გაკოცებს შენ და მყისვე გაქრება  
თვალეზში ცეცხლი, ტუჩზე ღიმილი.

## 6.

ლოყით მოეპყარ ჩემს ლოყას,  
დე ჩვენ ერთადა ცრემლი გვდიოდეს;  
მკერდით მომეკარ მოყვარულ მკერდზე,  
რომ ერთი ცეცხლით ორივ იწოდეს!



და რომ თვალთაგან გადმონადენი, <sup>ეროვნული</sup>  
დაესხმის იმ ცეცხლს ცრემლთ ნაკადულში, <sup>ბიბლიოთეკა</sup>  
დე, მოვკვდეთ მაშინ... უკეთეს სიკვდილს  
ვერ მოესწრება ხომ ჩვენი გული!..

## 7.

ვინ დამიშლის მე, სასურველ შრომანს,  
ვეუძღვნა, ვაჩუქო მთლად ჩემი გული,  
რომ ამღერდეს ის გრძნობა მორევით,  
შეეყარებული, აღტაცებული.

სიმღერა იგი გაისმის ველად,  
და გააღვიძებს ჩემსა სიყვარულს,  
ვით ჩემი სატრფოს დამწველი კოცნა,  
ერთხელ რომ იმან მაჩუქა ბედკრულს.

## 8.

დასაბამიდან ცაზედ მიკრული,  
მიუწდომელნი ვარსკვლავნი კრთიან--  
და შეპყრობილი სიყვარულითა  
ერთმანეთისკენ იცქირებიან.

და წყნარად, ტკბილად მუსაიფობენ,  
თავის სიყვარულს უხვად აჰკობენ,  
მაგრამ ფილოლოგთ ვერ აუხსნათ,  
თუ რა ენაზე ლაპარაკობენ.

მე კი გავიგე! მე ვიცი მხოლოდ!  
ავხსენი ენა მათი ამ რიგათ:  
ჩემი ძვირფასი საყვარლის სახე  
თვალწინ დავიდევ მე გრამმატიკათ!..



## 9.

სევდით აღვსილი, ტურფა შროშანი  
მზის სხივების წინ, თავს ხრის, ღონდება,  
თვლემას ეძლევა, ოცნებას იწვევს,  
მთვარის ამოსვლას მოელოდება...

ამოდის მთვარეც, მისი აზიცი,  
აღიძებს შროშანს სხივებით თბილით,  
თავს მაღლა იღებს ტურფა შროშანი,  
შესცქერის მთვარეს ტკბილი ღიმილით.

შესცქერის... ჰყვავის... ღელავს... კანკალებს...  
კიდევ შესცქერის ვერ აზორებს თვალს...  
არომატს აჰნევს, იცინის, ტირის...  
სიყვარულისას გულში გრძნობს მწვავ ალს.

## 10.

ტალღათა ქაფში დაბადებულ მშვენიერების  
ვენერის მზგავსსა, — (სად იქნება იმისი ტოლი!)  
სხვა მოუნახავს მეგობარი, სხვა მოუნახავს,  
და დღეს, სულისდგმას, ჰქვიან სხვისი შეუღლე, ცოლი!

ეჰ, გულო, გულო, ჩემო ბევრის მომთმენო გულო,  
შურს ნუ იძიებ, აიტანე ეს საქციელი...  
მოითმინევი ესეც შენა და არ დასწყევლო,  
არ შეაჩვენო შენი სატრფო, სხვის საყვარელი!..

## 11.

ისმის თარის ხმა, წკრიალებს ჩანგი,  
დაფას, ნაღარას გააქვთ გრიალი:  
დღეს ქორწილია ჩემი სულისდგმის,  
ლხინია, ტაში, ცეკვა — ტრიალი.

შერეულია, ჩაქსოვილია  
ჩქარი სიმღერა, ნელი ღიღინი...  
და ამ ლხენაში — გესმით თუ არა?  
ანგელოზების ისმის ქვითანი!...

## 12.

ახ, რომ იცოდენ ველის ყვავილთა,  
თუ როგორ მტკივა, უბედურს, გული,  
ატირდებოდენ ცხარე ცრემლებით,  
რომ დამიამონ გულისა წყლული.

და რომ ბუღბუღსა შეეძლოს მიხვდეს,  
რომ მტკივა გული, გული ეული,  
დიდის ხალისით ამღერდებოდა,  
რომ დამაფიწყოს სევდა წყეული.

და ოქროს ფერი ვარსკვლავებიცა,  
რომ გაიგებდენ ჩემს მწუხარებას,  
ჩამოვიდოდენ ცის კამარიდან,  
მაგრძნობინებდენ მე ნეტარებას...

მაგრამ ვის ესმის ჩემი გულის თქმა,  
ვინ მიხვდეს იმას, რით მტკივა გული!..  
იცი მხოლოდ შენ... მაგრამ აკი შენ  
სახსოვრად მიძღვენ ეს დიდი წყლული!..

## 13.

რისთვის დამქნარა, ფერი სცვლია ვარდს,  
ჩემო სულისდგმავ, რისთვის, მითხარი!..  
რისთვის ვერ ფარავს ია გულის დარდს,  
და თვალს ჰკიდია ცრემლისა ცვარი?



იქ, მაღლა რისთვის სტირის, ქვითინებს ვერცხულნი  
 ცელქი ტოროლა, ვერ ატკობს სმენას, ბიზლირთუქა  
 ეს მყრალი სუნი ყვავილებს რათ აქვს,  
 ჩემთან რომ მოაქვს ნიავის ქშენას!..

—  
 წარბებ მოხრილი და პირქუში მზე  
 ცივად რად ბრწყინავს მტრედისფერ ცაში?  
 შავ-ბნელ საფლავში ხომ არა ვზივარ,  
 ქვეყანას რომ ეპკრეტ უკუნ წყვდიადში.

—  
 ავათ რისთვის ვარ? შვებას, სიამეს  
 რატომ ველარ ვგრძნობ, — ასეთი რათ ვარ?..  
 მითხარი, მითხარ სულისდგმავ, მტრედო,  
 თუ კი გიყვარდი, რათ არ გიყვარვარ?!..

—  
 14.

30

სულ ყველაფერი ხარობს და ჰყვავის:  
 კეკლუცი იის ცისფერი თვალი,  
 კოკობი ვარდი — ეშხითა მთვრალი,  
 ველის ყვავილი — ნაზი, ფერმკრთალი,  
 ჩემი გული კი ჰქნება საწყალი!..

—  
 15.

მაღლა გუმბათად ცა გადაშლილა,  
 ბუნება შვებით, ლხენით აღვსილა,  
 ვიშ, რა დილაა, ღმერთო, რა დილა!  
 ხალხი სეირნობს, ვერ იცდის სახლში...  
 მე კი ცრემლები მადგია თვალში...  
 ახ, ნეტავ შენთან ვიწვევ საფლავში!..

—  
 16.

ტიტველ მწვერვალზედ ჩრდილოეთისა,  
 სჩანს ნაძვი ერთი, ყარიბად მდგარი,



სთვლემს სევდიანი, და თოვლის, ცინვის  
 შემოხვევია თეთრი სუღარი.

და ესიზმრება იმას უღაბნო,  
 აღმოსავლეთის მზისგან დამწვარი...  
 უღაბნოში კი — დამწუხრებული,  
 დაობლებული ბზა, წელ მაგარი ..

## 17.

თავი ამბობს:

ახ, ნეტავ მიწად გადამაქცია,  
 სადაც სულისდგმას უდგია ფეხი, —  
 მთელოს სიცოცხლემ, რამდენიც უნდა,  
 თუ რომ მეწყინოს, დამეცეს მეხი!

გული ამბობს:

ახ, იმ ბალიზად გადამაქცია,  
 რაზედაც სატრფო აბნევს ქინძისთავს, —  
 მჩხვლიტოს სიცოცხლემ რამდენიც უნდა,  
 ოღნავაც, ვფიცავ, არ შევიწყენ თავს!

სიმღერა ამბობს:

ახ, იმ ქალღდათ გადამაქცია,  
 რაზედაც იგი აპირებს წერას, —  
 თავს დახრის თუ არ, ყველაფერს ვეტყვი,  
 ჩემს სიყვარულზე დაუწყებ მღერას!..

## 18.

ჩემს გულის წუხილს, ჩემს დიდ სიყვარულს,  
 სიმღერათ ქცეულს, ვუგზავნი მასა; —  
 ფრთებსა ისხამენ მოციქულები,  
 სატრფოს გულისკენ იკვლევენ გზასა.  
 იპოვეს, უთხრეს ყველაფერი მას.

უკან დაბრუნდენ, ცრემლად დნებიან,  
მწარედ ტირიან და... იმის პასუხს  
ისინი აღარ მეუბნებიან!..

## 19

უყვარს ყმაწვილკაცს ტურფა ასული,  
ქალს კი სხვა ყრმისკენ იტაცებს გული,  
ამ სხვამ, სხვა ქალით გატაცებულმა,  
გამოუცხადა სხვას სიყვარული.

გულდაწყვეტილი ტურფა ასული,  
პირველ შეხვედრილს ცოლად მიყვება,  
და უბედური ყმაწვილი კაცი  
დღე მუდამ ტირის, დარდითა კვდება...

ძველის ძველია ამბავი ესე,  
მაგრამ მუდამყამს ახლათა რჩება, —  
გამოცდი იმას და გული კრული,  
უდროოთ ჭკნება, უდროოთ ხმება...

## 20

ნაცნობი ხმები ჩემი სულისდგმის, —  
ოდეს მომესმის ტკბილი სიმღერა,  
ტანჯვით აღსავსე ვერ ითმენს გული,  
გაშმაგებული გაუდის ძგერა.

და მიყვებარ შორს დარდს გამოუთქმელს,  
ავყევარ მალლა მთისა მწვერვალზე —  
და შავი სევდა, უსაღვრო სევდა,  
ცრემლის წვეთებად მადნება თვალზე.

## 21.

სიზმრად ვიხილე მეფის ასული,  
სნეული, სუსტი, სახე მიმქრალი...  
ცაცხვის ტოტებს ქვეშ ვიჯექით ჩვენ და...  
გულს გვიდაგავდა ტრფობისა ალი.

— წყალმა წაიღოს ტახტი მეფისა,  
სულ ყველაფერი ქვეყნად მომწყანდა...  
მე შენ მიყვარხარ... მე შენ მიყვარხარ!..  
მეტი ამ ქვეყნად სხვა რაღა მინდა!..

— ვერა! მომიგო პასუხად იმან:  
ტყუილად სცდილობ, ტყუილად გინდივარ,  
მე ხომ მკვდარი ვარ და მოჩვენებად,  
ჩემო ძვირფასო, მხოლოდ მოვდივარ!..

## 22.

მე ხომ მიყვარხარ!.. კვლავად გჯეროდეს,  
რომ არ გაქრება ის არასოდეს!  
თუ დედამიწა და მალლა ზეცა,  
მოხდა ერთმანეთს, ნანგრევად იქცა,  
ამ ჩემს სიყვარულს ვერას დააკლებს  
ის, ნანგრევებშიც ამოაშუქებს!..

## 23.

გავდივარ ბაღში ზაფხულის დილას  
და მოწყენილსა ვართობ სნეულ გულს,  
დავდივარ, ვდუმვარ და ჩემს გარემოს  
ნაზ ყვავილების ყურს ვუგდებ ფურჩულს.

უცხო ყვავილნი მორცხვად, იღუმალ  
მეუბნებიან... მიძღვნიან სალამს...

ასე ამბობენ; „ჩვენი ძაგება  
არ დაშვენდება პოეტის კალამს!“

## 24

ბევრი წამება მახსოვს იმათგან,  
ბევრჯერ დაჰკოდეს მათ ჩემი გული...  
ხან შური იყო ამის მიზეზი,  
ხან მამბებრებდა თავს სიყვარული.

შხამით ამივსეს ბევრჯერ ფიალი,  
უფრო და უფრო მიღრმავეს წყლული...  
ხან შური იყო ამის მიზეზი,  
ხან მამბებრებდა თავს სიყვარული.

მაგრამ ვისაც მე ყველაზედ მეტად  
დაუტანჯავარ, ვუწამებივარ,—  
იმას, სულისდემას, არაოდეს მე,  
არც ვძულებივარ არც ვყვარებივარ.

## 25

აღაჟღაჟებულ მაგ შენ ლოყებზე,  
გამეფებულა ცხელი ზაფხული  
და ცივს ზამთარს კი, ყინვა სუსხიანს  
მთლად შეუპყრია ამაყი გული.

მაგრამ დაიცა, ჩემო გულცივო,  
ეგ სულ ერთბაშად განადგურდება,—  
სახეზე დაგკრავს ზამთრისა სუსხი,  
გულში— ზაფხული დასადგურდება...

## 26

მოშხამულია ჩემი სიმღერა,  
უნდა ცრემლები ყოველთვის ვღვარო,—

აყვავებული ახალგაზრდობა,  
შენ მომიწამლე, შენ, მეგობარო.

მოწხამულია ჩემი სიმღერა,  
უნდა მუდამ ჟამს ცრემლები ვღვარო, —  
და სნეულ გულში, უნდა მას შემდეგ,  
სატრფო და გველი ერთად ვატარო!..

## 27.

ესტიროდი ძილში. მესიზმრა, თითქოს  
საფლავში იწექ, გულს გედვა ლოდი;  
გამომეღვიძა, მაგრამ ცრემლები  
ისევ მდიოდა, ისევ ვტიროდი.

ესტიროდი ძილში. მესიზმრა, თითქოს  
მეთხოვებოდი, აღარ გინდოდი;  
გამომეღვიძა, ცხელი ცრემლები  
ისევ მდიოდა, ისევ ვტიროდი.

ვტიროდი ძილში. მესიზმრა, თითქოს  
ჩემო სულისდგმავ, შეგყვარებოდი;  
გამომეღვიძა—და ცრემლი ცხელი  
მაინც მდიოდა, მაინც ვსტიროდი.

## 28

ხშირად ვნახულობ მე ასეთს სიზმრებს:  
აღერსიანად მაძლევ შენ სალამს,  
მე კი ვქვითინებ, მე ცრემლად ვღნები,  
მე კი გიკოცნი, ტურფავ, ნატერფალს.

შემომცქერიხარ მე ნაღვლიანად,  
მშვენიერ თავსა ოხვრითა არხევ,





და თვალთაგან კი ჩუმათ, ნაზათა  
 მარგალიტის მზგავს ცრემლებსა აფრქვევ.

მეფურჩულები იღუმალ სიტყვებს,  
 თან კი მაწოდებ კუპაროზის ტოტს...  
 გამელვიძება—სად არის ტოტი!..  
 შენი სიტყვებიც დამვიწყებია!..

## 29.

შემოდგომის ქარი ღმუის,  
 მას ბანს აძლევს მთლად სამყარო...  
 სად ხარ ახლა ჩემო მტრედო,  
 პაწაწინა მეგობარო!

ვხედავ ოთახს. და ოთახში  
 ფანჯარასთან ჩემს სულისდემას,  
 ბნელს შესცქერის და თვალებში  
 მოსდგომია ცრემლები მას...

## 30.

თვალეზე მაწვა ღამის წყვილი,  
 ბაგე ბაგეზე მიმწებებოდა:  
 საფლავში ვეგდე მკვდარი ოხერი,  
 გული და ტვინი გამყინებოდა.

არ ვიცი სანამ გაგრძელდა ასე,  
 სანამდე მაწვა ბნელი უკუნია...  
 უცებ ჩემს ზევით, კუბოს ფიცარზე  
 მე გავიგონე ხშირი კაკუნია.

— გამოიღვიძე ძვირფასო ჰენრიხ,  
 დღესასწაული ჩვენი იწყება:

აჰა, იღება კუბოს კარები,  
მიცვალებული მკვდრეთითა დგება!

„სად შემიძლია ავდგე, ძვირფასო,  
თვალეზ დამდგარი და შესაბრალი:  
ცხელმა ცრემლებმა წამართვეს ხედვა,  
როცა ვტიროდი შენით ნაწვალის!“

— ჰენრიხ, მჭურვალე კოცნით, ალერსით  
გადაგაშორებ თვალეზზე ღამეს,  
რომ დაგანახო ქვეყნიერება  
და დაგაწაფო ციურ სიამეს.

„არ შემიძლია, სულისდგმავ, ავდგე,  
გულით მდის სისხლი კოკისპირული  
მას შემდეგ, რაც შენ მწარე სიტყვებით  
დასკერ, დაჰკოდე ეს ჩემი გული.“

— ჰენრიხ, ამ ჩემი მოყვარულ ხელით  
დაკოდილ გულსა მე შევეხები,  
გული მორჩება, შეწყდება სისხლი,  
გაჯანსაღლები, ფეხზე დადგები.

„არ შემიძლია, ძვირფასო, ავდგე,  
თავზეც მატყვია კრილობა ავი,  
ტყვია ვიკარი, ხომ გახსოვს, მაშინ  
როცა წამერთვა მე შენი თავი“.

— ძვირფასო ჰენრიხ! მაგ კრილობასაც  
მოვსწმენდ, წარეხოცავ ჩემი ნაწნავით,  
წამოდექ ჩემო, ნურათფერს დარდობ,  
აღზდევ, დაგატკო ტკბილ სანახავით!..

ჩემის სულისდგმის სიტყვებს მომხიბლავს  
ვერ უთხარ ვარი, ვერ შევიძელი,  
მომინდა სატრფოს გადავხვეოდი,  
ზე წამოვარდი, გავშალე ხელი.

მაგრამ უეცრად თავში და გულში  
მე დამეტაკა ტკივილი მწარი,  
გამომეღვიძა... და მაშინ მივხვდი,  
რომ ყოველივე იყო სიზმარი.

## 31.

აზ, არაოდეს აღარ მშორდება  
თვალ უწვედენელი, უკუნი ბნელი,  
რაკი გამშორდა, გამომეთხოვა,  
ჩემი სულისდგმა და ჩემი მკვლელი.

სამუდამ ჟამოთ დაბნელდა ჩემთვის  
ჩემი ვარსკვლავი სასიქადულო,  
გადაშლილია ჩემ წინ საფლავი,  
რალას უყურებ, შიგ ჩადი გულო!..

## 32.

ძველი სიმღერა, კენესის სიმღერა,  
ოხვრა-გოდება და გლოვის ზარი  
შორს აწი ჩემგან, ძირს მწარე ცრემლი,  
ძირს მოჩვენება, ავ სიზმართ ჯარი!

მომეცით კუბო, კუბო მომეცით!..  
(თუ რატომ მინდა, გაიგებთ ჩქარა!)  
დიდი კი იყოს, ფართე კი იყოს,  
მე არ მეყოფა კუბო პატარა!..

და საკაცურიც მომიტანეთ მე,  
არ შეუშინდეთ იმის სიდიდეს,  
დღე, იყოს ის უზარმაზარი,  
უღრიდეს თუ გინდ მაინცის ხილდს.

თან მოიყვანეთ თორმეტი მღვვი,  
გამორჩეული და გასაოცი,  
უძღვეველი და თანაც მაღალი,  
როგორც კენლისა ტაძარის ბოძი.

იმ საკაცურზედ შედებილ კუბოს  
ქვეშ შეუყენებ მე მღვვთა ხროვას,  
წინ წაუძღვები ჭირისუფლათა,  
უკანასკნელათ დავიწყებ გლოვას.

გლოვით მივიტან იმ კუბოს ზღვასთან,  
შემეგებება ზღვის ტალღა შავი  
და შიგ ჩავმარხავ... ასეთ დიდ კუბოს  
აგრეთვე დიდი უნდა საფლავი.

რათ უნდა იყოს აგრე დიდი ის?  
ეხლა კი გეტყვით, გადაგიშლით გულს:  
იმ დიდ კუბოში ჩავასვენებ მე  
ჩემს დიდს ტანჯვებს და ჩემს დიდს სიყვარულს...



7. *თხოვ და*  
იხვე სამშობლოში.

## 1.

დიღხანს და დიღხანს ჩემს ბნელ სიცოცხლეს,  
მე მინათებდა საყვარლის სახე;  
დამტოვა იმან და უკან ბნელში,  
მგონია, ირგვლივ მიღვია მახე.

და როგორც ბავშვი, ღამით მინდორში  
სთვლის განსაცდელში თავს, ღიად ქირში,—  
სიმღერას იწყებს, რომ ამ სიმღერით  
გული იმაგროს, დასძლიოს შიში.

მეც აგრე ვმღერი, მგზავრი მავალი  
სიმღერებს ვისვრი წყვდიადს ჯურღმულში...  
დეე, ნუ არის ტკბილი ეს მღერა,  
ოღონდ კი შიში მომიკლას გულში!..

## 2.

ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს  
ეგ სევდა გულის მწველი?  
თავიდან აღარ მშორდება  
ზღაპარი ძველის ძველი.

საღამო არის, ავრილდა,  
რეინი მშვიდათ ღელავს  
და მთის მწვერვალზე მზის სხივი  
ოქროს ფრათ ბრწყინავს, ელავს.

წყლის პირას, კლდეზე გადმოჯდა  
მზეთ უნახავი ქალი...

ოქროს თითებში უპყრია  
მას ოქროს სავარცხალი.

ოქროს ნაწნავებს ივარცხნის,  
ივარცხნის, თანაც მღერის,  
მღერის სიმღერებს ჯადოსნურს,  
აღმძვრელებს გულის ძგერის.

მგოსანსა, ნავში მჯდომარეს,  
შვებით ევსება გული,  
ნავის წინ კლდესა ვერ ამჩნევს,  
სიმღერით მოხიბლული.

ჩანთქავს, დალუპავს რინი  
მენავებს, იმის ნავსა...  
დალუპავს ლორწეღია,  
არ შეიწუხებს თავსა...

## 3.

დავხეტილობ ტყეში და ვტირი,  
შაში დამცქერის ტოტზე მჯდომარე,  
სტვენა-გალობით მეკითხება ის:  
„რათ ხარ, პოეტო, ეგრე მწუხარე?..“

— წადი, ჰკითხევი შაშვს, შენს დაიას,  
იგი აგისნის თუ ვტირი რაზე:  
გაზაფხულზედა ხშირათ მინახავს  
ჩემი დამწველის — ის — ფანჯარაზე!..

## 4.

ჩამავალი მზის ყვითელ სხივებს ქვეშ  
გადაშლილიყო წინ სივრცე ზღვისა,

მეთევზის ღარიბ, დაბალ ქოხის წინ  
ქვაზედ ვიჯექით ჩვენ -- მე და ისა.

შორს, სადღაც ნისლმა წამოყო თავი,  
მალლა ავარდა წელმარდი ჩიტი...  
თვალი მოვკარი, რომ მის თვალიდან  
გაგორდა ცრემლი, ვით მარგალიტი.

დაგორდა ცრემლი, მოყვა მეორე...  
ველარ შეიძლო მოთმენა გულმა —  
მუხლზე დავეცი და შენი ცრემლი,  
ენით ავლოკე დაღონებულმა.

მას შემდეგ არის — გული მტკივა მე,  
ვდნები, არ ვიცი რა ვისაშვალო...  
შენმა ცრემლებმა მომკლეს, მომწამლეს,  
შენ უბედურო, საბრალო ქალო!..

## 5.

ცის დასალიერს, ფართე და გძელი  
ბუნდოვნათ მოსჩანს ქალაქი ძველი.

ზვირთებზე კოხტად მაცურავს ნავი,  
გულში კი სევდამ წამოყო თავი...

ჰა, ნავთსადგურიც იმ კუნძულისა,  
სადაც დავკარგე სატრფო გულისა.

## 6.

კვლავ მივდივარ მე ნაცნობი გზითა...  
ნაცნობი ქუჩა! ნაცნობი არე!

აი, ის სახლიც, სადაც ცხოვრობდა  
ჩემი სულისდგმა და ჩემი მოვარე!

და ფართე ქუჩა მევიწროება,  
გულს გარს ეხვევა სევდათა ჯარი...  
მივდივარ, მივრბი რაც შემძლია,  
მივდივარ, მივრბი... ესეც ჭიშკარი!

## 7.

და შევედი მე ნაცნობ ოთახში...  
იქ ერთგულება იმან აღმითქვა...  
სადც მაშინ ფიცის ცრემლი დაეცა,  
იქ ეხლა დიდი გველილა იწვა.

## 8.

ბუნდოვან სიზმრით გარემოცულმა  
საყვარელ სურათს მივაპყარ თვალი,  
და მეგონა რომ იქ დავინახე  
სიცოცხლის ოდნავ მბუჭთავი ალი.

მჭიდროთ დამუწულ მის ბაგეებზე  
დავატყვე რალაც ღიმილის გვარი,  
მის ღრმა თვალებში, მის შავს თვალებში,  
თითქოს ჰგორავდა ცრემლისა ცვარი.

ვერ ავიტანე... ვერ ავიტანე...  
მწარეთ ავტირდი... დამება ენა...  
ახ, ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ სულისდგმავ,  
სამუდამ ჟამოდ დამკარგე შენა!..

## 9.

ოჰ, უბედური ატლანტოსი!.. ქვეყნის სიმძიმე,



ქვეყნის სიმძიმე სევდა-დარდი უნდა ვატარო...  
სად შემოძლია ავიტანო მე ეს სიმძიმე,  
სად შემოძლია!.. გული ჩემი, ვიცი გასკდება.

გულო ამაყო!.. განა ასე არ გსურდა შენა:  
ან ბედნიერი გამხადეო განუსაზღვრელად,  
ან თუ არ ესა—უბედური მინდა ვიყოო...  
აწ გიხაროდეს... ნატვრა ახდა... უბედური ხარ!..

## 10.

მოდინ წელნი, მიდიან წელნი,  
მოდგმა მოდგმაზე ჩნდება და ქრება  
და მხოლოდ მარტო ამ ოხერ გულში  
შენდამი ტრფობა აროდეს კვდება.

ახ, რომ შემეძლოს ერთხელ მაინცა,  
მაგ შენ მშვენიერ თვალში ჩაეხედო,  
მოკვცდე მე მაშინ, ოღონდ კი გითხრა:  
„მე შენ მიყვარხარ სულისდგმავ, მტრედო!“.

## 11.

მესიზმრა: ირგვლივ მოწყენილად მთვარე სხივს ჰვენდა,  
შორს, ცივს უფსკრულში, ვარსკვლავთ გუნდი სევდით კვდებოდა...  
იმ ქალაქისკენ, სადაც ჩემი ცხოვრობდა სატრფო,  
გიჟურ მივრბოდი, მისი ნახვა მესწრაფებოდა.

აჰა, მივედი... დავეცი მე ქვისა კიბეზედ,  
დაუწყე კოცნა ქვის იატაკს,—კოცნა-აღერსი,  
დავკოცნე—სადაც მისი ფეხი მიწას გაკვრია,  
სადაც გაკვრია კედელს მისი ტანისამოსი...

გრძელი იყო და ცივი იყო ღამე იმ ღამეს,  
ახ, ცივი იყო ქვაფენილი, ყრუ და მღუმარე...  
ფანჯარაში კი ჩემი სახის მკრთალი მგზავსება  
მომჩერებოდა დაღვრემილი და ღრმათ მწუხარე!..

## 12.

შენი თითები, ბროლის თითები  
მინდა დავკოცნო კიდევ და კიდევ,  
მინდა მიგიკრა მოყვარულ გულზე,  
მიგიკრა გულზე, მწარეთ ავტირდე.

იასებრ ლურჯი შენი თვალები,  
ვით გამოცანა თვალწინ მიდგანა,  
მითხარი მტრედო თუ რასა ნიშნავს,  
მითხარი მეთქი—ეს გამოცანა!..

## 13.

უყვარდათ იმათ ერთმანეთი, ძლიერ უყვარდათ,  
შაგრამ ფარავდენ, არ ამხელდენ ამ სიყვარულსა,  
მტრულად უცქერდენ ერთმანეთსა, უცქერდენ მტრულად,  
ხოლო სურვილი ერთად ყოფნის უკვნობდათ გულსა.

დაშორდენ ერთხელ ერთმანეთსა და მხოლოდ ძილში  
თუ შეხვდებოდენ ერთმანეთსა, მხოლოდ სიზმარში...  
ღრომ თავისი ქმნა და სიკვდილი ეწვია იმათ,  
ერთმანეთი კი ველარ იცნეს იმ ქვეყანაში...

## 14.

ხანდახან სევდით მომაგონდება  
ჩვენი კეთილი, ტკბილი წარსული,  
როცა კმაყოფილს, ბედის მადლიერს,  
დამშვიდებულად მიძგერდა გული.

ეხლა კი მეფობს აღიაქოთი,  
ველარ გვიცენია ჩვენ ერთმანეთი—  
თითქოს დამხრჩვალა კუპრში ეშმაკი  
და მალლა ცაში არ იყოს ღმერთი.

სიბნელე, მტრობა გამეფებულა,  
ცოტალა დაგვრჩა სასიხარულო...  
ქვეყნად არ ღირდა სიცოცხლე, ტანჯვა  
შენც რომ არ იყო, ჰე სიყვარულო!..

15.

მოითმინეთ, ნუ მიწყრებით  
თუ სავსეა ისევ გული  
ძველ ტკივილით... ჩემს სიმღერებს  
სარჩულად აქვს მისი წყლული.

მოითმინეთ, ძველი ტანჯვა  
გაქრება, ან განელდება  
და ჯანსალი ჩემი გული  
ისევ ტკბილად ამღერდება!

16.

რა, რა მოგდის, კმარა გულო,  
ნუ კვნეს, დაიყუჩე წყლული...  
თუ ზამთარმა რამ დაგაკლო,  
დაგობრუნებს გაზაფხული.

არც ისეა შენ რომ ჰგონებ—  
დიდი არის ქვეყანა ღვთის,—  
ქორთა ვარდი, ნაზი ია  
შეიყვარე, ვინ დაგიშლის!..

17.

სუფთა ხარ, ნაზი, როგორც ყვავილი,

როგორც ყვავილი ახლად გაშლილი...  
გიცქერი, სევდით მევსება გული  
გული, შვენებით შენით აღვსილი.

და მსურს მუხლ მოყრით შემოქმედს ვსთხოვო,  
შემოქმედს ვთხოვო, რომ ხელი გახოს,  
და ეგრე წმინდა, ეგრე უმანკო,  
ეგრე უმანკო შენ შევინახოს!..

## 18.

დეე, იბრძოლოს მკაცრმა ზამთარმა,  
დაიგრიალოს, დასძახოს ქარმა,  
შეჭკრას ბუნება ყინვა საზარმა —  
რა შეაშინებს ჩემს უშიშარ გულს,  
ბუდე უდგია მასში სიყვარულს,  
სატრფოს სახეს და მწვანე გაზაფხულს!

## 19.

ოჰ, რომ შემეძლოს მოკლე სიტყვაში  
გავხვიო ჩემი სევდა-ნალღველი,  
ქარს გავატანდი იმ სიტყვას, ქარსა,  
რომ გადალახოს მან მთა და ველი.

რომ მოაღწიოს შენამდე იმან,  
ჩაგიფურჩულოს, ჩაგიძვრეს ყურში  
და სამუდამოდ დაისადგუროს  
მიუკარებელ, მაგ სასტიკ გულში.

რომ განუყრელად შენ გდევდეს იგი...  
როს მონატრებ შენს ტკბილ ოცნებას,  
ოცნების ნაცვლად იმ ჩემი სიტყვის  
მხოლოდ ხედავდე, შენ, მოჩვენებას!..

## 20.

შენ ხომ ბევრი გაქვს თვალ-მარგალიტი,  
დაუშრეტელი სიმდიდრის წყარო,  
და კიდევ ორი გაქვს მწველი თვალი...  
მეტი რა გინდა შენ, მეგობარო!...

მე მაგ თვალების დასამარცხებლად  
მძლავრი ლაშქარი უნდა შევყარო  
მწველ სიმღერების, ნაზი ლექსების...  
სხვა რაღა გინდა შენ მეგობარო!...

ემაგ თვალებით, ბევრი წუთები  
გამომიცდია მე სამწუხარო,  
მაგათ გამტეხეს, ცრემლი მადინეს...  
მეტი რა გინდა შენ, მეგობარო!

## 21.

ის, ვისაც პირველ შეყვარებია,  
თუნდ უიმედოთ, იგი ღმერთია,  
ხოლო ვინც ერთხელ გამოცდის მას და  
კვლავ შეიყვარებს, —ის სულელია!...

სულელი ვარ მე... მეორედ მიყვარს...  
თან უიმედოთ... დამცინის მთვარე,  
დამცინიან მზე და ვარსკვლავები...  
მათთან ვიცინი მეცა და ვკვდები!...

## 22.

თოვლის ფერ მკერდს ქვეშ სცემს და თამაშობს,  
ჩემო ლამაზო, პაწია გული,  
მიგეყრდნე მკერდზე, დავაყურადე  
თუ რას საუბრობს აჩქარებული.

ქლაქს მოადგა გუსართა რაზმი,  
ისმის იმათი ცხენთა თქრიალი,  
და ხვალ დილითა იმათზე გამცელი,  
მათზე დაგრჩება შენ შენი თვალი.

დე, აგრე იყოს, დამტოვე ხვალე,  
მაინც ჩემი ხარ ეს გრძელი ღამე  
და შენს მკლავებში, შენს ფიქალ მკერდზე  
გათენებამდე მელის სიამე.

## 23.

წამოიშალა გუსართა რაზმი,  
უკვე დასტოვა ქლაქის ბინა...  
და ისევ ჩემო, ვარდითა ხელში;  
შეყვარებული ვდგევარ შენ წინა,

ოჰ, დიდი იყო ალიაქოთი,  
ძნელი ყოფილა გუსართან ომი...  
და შენი გულიც დაისაკუთრეს,  
იქაც იპოვეს იმათ სადგომი!

## 24.

შენ როდი გსურდა გაგეგო ჩემი...  
და არც შენ გქონდა ფასი ჩემს თვალში,  
მაგრამ იმ წამსვე მიეხვდით, გავიგეთ,  
როცა ერთმანეთს შეეხვდით ტალახში!...

## 25

მზე აიმართა, გადმოაწვა მთისა მწვერვალებს,  
ჯოჯში ბატკანთა ათამაშნა ცელქი კრებული...  
ჰე, მეგობარო, სულის სწორო, მზეო გულისა,  
ეჰ, როვორ მინდა ერთხელ გნახო, დავიტკობო გული!..



ხარბათ, გიყვივით ვიცქირები შენი თანჯარისკენ,  
მწვიდლობით ჩემო სულისდგმავო, მივალ, გმოხრდები  
არა... არ ჩანხარ თანჯარასთან... ფარდა არ იძვრის,  
შენ ისევ გძინავს... გულის ტოლო გემწვიდობები!..

## 26

სიცოცხლე არის გაზაფხულის დღე,  
სიკვდილი — ცივი ღამის აჩრდილი...  
აჰა, ღამდება... მეც დავიღალე...  
აჰა, ღამდება, მეპარვის ძილი!..

ჩემსა სასთუმალს სდგას დიდი მუხა,  
ამ მუხის ტოტზე მღერის ბუღბუღი;  
მღერის მგოსანი — მივუხვდი სიტყვებს,  
მივუხვდი სიტყვებს და კრთება გული...

## 27

„მითხარ, რა იქნა შენი სულისდგმა,  
შენგან ნაქები, შენგან შემკული  
იმ დროს, როდესაც ჯადოსნურ ცეცხლით  
აღვსილი გქონდა ჰაბუკი გული?“

— ახ, ნულარ მკითხავ, ჩაქრა ის ალი;  
დაიწვა გული უცხოდ გაშლილი  
და ეს წიგნაკი მხოლოდ ყუთია  
იმ სიყვარულის ფერფლით აღვსილი.



## სეზაფინას.

### 1

როცა გავდივარ, საღამოს პირად,  
ოცნების მონა, მღუმარე ტყეში,—  
შენ, ჩემო ტურფავ, ჩემო სიცოცხლევე,  
ხომ არ დადიხარ მაშინ ჩემ გვერდში?

შენს თეთრ სამოსელს ხომ არ ეხედავ მე,  
ვინ ეფარება ა იმ ნაძვის ხეს?  
მთვარეს ვუცქერი იმის ტოტებში,  
თუ შენ მშვენიერ, საყვარელ სახეს?

ჩემი ცრემლის ხმა ხომ არ მესმის მე,  
ნელი მოდენით რომ ჩქეფს თვალეში?  
თუ ეს შენ სტირი, ნუგეშო ჩემო,  
ამ გაუვალ და უტეხ ჭალებში?..

### 2

ღამე ესტუმრა ნაპირებს ზღვისას  
და მეც ვესტუმრე მისი ერთგული;  
მაღლიდან მთვარემ რომ დამანათა,  
უცებ ტალღებმა შექმნეს ფურჩული:

„შეხედეთ ამ კაცს—გიჟი თვარ არის,  
ის უნდა იყოს შეყვარებული;  
კიდევ იცინის სახე იმის და  
თან იცქირება დამარბული!“

იცინის მთვარე ცისა ციაგში  
და ტალღებს აძლევს ის პასუხს ასეთს:



„გიჟსაც ხედავთ თქვენ, შეყვარებულისაც,  
ამასთანავე ხედავთ თქვენ პოეტს;“

## 3

დიდი ხანია მე შენ ვატყობდი,  
მე რომ გინდოდი, მე რომ გიყვარდი,  
მაგრამ როდესაც თვითონ მითხარი,  
წამს გაიშალა გულს ია-ვარდი.

ზე ავდიოდი მაღალ მწვერვალზე,  
ვმხიარულობდი, ვხტოდი, ვმღეროდი,  
ზღვის დასალიერს, ჩამავალ მზესა,  
აღტაცებული თავს დავცქეროდი.

და ასეთსავე მზეს, სხივებ მრავალს  
ვგრძნობდი და ვჭკრეტდი საკუთარ გულში,—  
ამოდიოდა, ინთქებოდა ის  
უსახლვრო ზღვაში, ჩემ სიყვარულში.

## 4

შველის სისწრაფით, შველივით მფრთხალი,  
გამექცა—ქვიდან ქვაზედა ხტოდა;  
მირბოდა იგი და ცელქი სიო  
იმის ცელქ თმაში დათამაშობდა.

სადაც ერთი კლდე ზღვას გადასცქერის  
ვაჩერდა იგი, იქ დავეწიე,  
სიტყვა მორჩილი, სიტყვა რამ ტკბილი  
ჩაუფურჩულე... და ჩავეხვიე.

ვიჯექით ქვაზედ გადახვეულნი,  
თავი ჩენი კი გვეგონა ცაში...

სხივი მზისანი დაძინების წინ  
დაბანაობდენ თმა ხუჭუჭ ზღვაში.

მოჰხვია ხელი ტალღამ თვითონ მზეს,  
გულში ჩაიკრა, ჩანთქა, დასძირა,—  
ნიაგმა ამ დროს ამოიკვნესა  
და ჩემი სატრფო მან აატირა.

ნეტავ რად სტირი ჩემო სულიდგმავ,  
მზე არ დამხვალა იმ ზღვის უფსკრულში,  
შეხედე— მისი სხივით, სითბოით  
ავერ ამოდის, ამ დიად გულში!..

## 5

სასაცილოა!.. სიყვარული და მეგობრობა,  
მთლად ეს ცხოვრება სიზმარია და მოჩვენება!  
სასაცილოა... ნუ თუ მართლა გვეგონა, ჩემო,  
რაც გუშინ იყო, იგი თითქოს ხვალაც იქნება!..

არა და არა, ის რაც გუშინ ჩვენი გვეგონა,  
ხვალ მოჩვენება გამოდგება, მხოლოდ აჩრდილი,—  
გულს ავიწყდება სამუდამოთ, ვინაც ახსოვდა  
და თვალს მაქცერალს ეპარება უდროო ძილი!..

## 6

შავს იალქნებს ქვეშ, ველურ ზღვის ტალღებს,  
ებრძვის, მიაპობს უცხო რამ გემი...  
შენ კარგათ იცი, სევდა გულს მაწევს,  
გსურს კი იზარღოს ეს სევდა ჩემი!..

ვით ქარი ველში, ეგ შენი გულიც  
დაფრინავს ველად და დანავარდობს...



შავს იალქნებს ქვეშ, ველურ ზღვის ტალღებს,  
 უცხო რამ გედი ებრძვის, მიაპობს!..

## 7

თუ როგორ მტანჯე, როგორ მაწამე,  
 როგორ დამტოვე, მიეკედლე სხვას,  
 ვერ გავამხილე ადამიანთა,  
 მაგრამ ყოველი შეეჩივლე დიდ ზღვას.

კუდს ვერვინ იტყვის შენზედ ამ ქვეყნად,  
 კუდს ვერ აღნიშნავს მატრიანეში,  
 მაგრამ რაღას იქმ თევზებს თუ ჰკითხეს,  
 თევზებს უსაღვრო ოკეანეში!..

## 8

მძიმე ფიქრებით გარემოცემული,  
 ვზივარ ტალღებში ამართულ კლდეზე...  
 ქარი ღრიალებს, ქარი წრიალებს,  
 ქარი ახეთქებს ტალღებს ტალღებზე.

მტკიცედ უყვარდი საყვარელს ჩემსას,  
 ძვირს ვერ ვიტყოდი ამხანაგებზე,  
 დღეს სად არიან?.. ქარი ღრიალებს,  
 ქარი ახეთქებს ტალღებს ტალღებზე.

## 9

მიყვარს ზღვის სივრცე, როს საღამოს ჟამს  
 ოკროს სხივებს ქვეშ ელავს, ბჭყვრიალებს...  
 როცა მოვკვდები, გაფიცებთ ძმებო,  
 რომ მიმბაროთ მის ძლიერ ტალღებს.



ზღვა მყავდა მხოლოდ მარტო მეგობრად  
 იგი მაწვდიდა ხმას ალერსიანს,  
 როცა ნაპირზე დამინახავდა,  
 დამინახავდა ნაღველ-სევდიანს!..



## ანჟელიკას.

1

ნუ, მშვენიერო, ნუ მეფიცები,  
 ტყუილად აბა რათ ეწვალები?  
 ვერ დავიჯერებ, რომ სათნოებას  
 ჰქონდეს ისეთი, ვით შენ, თვალები!

აფერადებულ სიტყვებსა და ფიცს  
 იგი სჯობია—მიჩვენო გული,  
 სამაგიეროდ მიიღო ჩემი  
 უსაზღვრო გრძნობა და სიყვარული.

2

. ვკოცნი ტუჩებში, ვკოცნი ტუჩებში!  
 თან კი ხელებით ვუფარავ თვალებს...  
 ამას რათ ვსჩადი, მას სურს გაიგოს,  
 ჩქარა აუხსნა ითხოვს, მავალებს.

დილიდამ ვიდრე დაღამებამდე  
 ასე შემჩვივის: „ეს მე მახელებს,  
 ტუჩში რომ მკოცნი ეგრე გიჟივით,  
 თვალებზე რატომ მაფარებ ხელებს?!“

ვასუხს ვერ ვაძლევ, აბა რა ვიცი  
 რათ ვერიდები თვალებს დამწველებს!..

ვკოცნი ტუჩებში, ვკოცნი ტუჩებში  
და თვალეზე კი ვაფარებ ხელებს...

## 3

როს შენ გულმკერდზე მოვაცრდნო თავი,  
მომხვიე ხელი, ნულარ აყოვნებ,  
მომხვიე ხელი, მხოლოდ სამშობლოს  
ნუ მომაგონებ, ნუ მომაგონებ!..

ღვთის გულისათვის, გაჩუმდი ერთი,  
თორემ დამტანჯავ და დამაღონებ,—  
ნემეცთა მხარეს ნუ შეეხები,  
ძვირფას სამშობლოს ნუ მომაგონებ!

ამწვანებული ტყე შრიალებს იქ,  
იას მიუგავთ თვალნი გოგონებს,  
ნემეც დედაკაცს, ნემეცთ ქვეყანას,  
ძვირფას სამშობლოს ნუ მომაგონებ!..

## გორტენზიას.

ბედნიერება დიდხანს როდი გაგრძელებულა.  
სულ ყველა გაქრა რაც აღმითქვი, რასაც ველოდი,  
თვით შენი სახეც, როგორც ცრუ და ყალბი სიზმარი,  
დასამარავდა ამ ჩემ გულში, დაედგა ლოდი.

გააპო მზემან ბურუსი და მძლავრი სხივებით  
ერთ წამს გაჰფანტა. გააბნია ბურუსი სქელი,  
მაგრამ დაჰბერა ავდრის ქარმა, დაიგუგუნა,  
მზე გადაგვალო, ირგვლივ ისევ გამეფდა ბნელი.

## კლარისას.

## 1

ვერ დამემალვი, სადაც წახვიდე,  
აუცილებლათ შენთან გავჩნდები,  
რაც უფრო ცივად შემხვდები, მნახავ,  
მით უფრო ძლიერ შემიყვარდები.

მაშინებს მხოლოდ შენი ალერსი...  
აი, ამ სიტყვებს ყური დაუგდე:  
საჩქაროდ უნდა შემიყვარო მე,  
თუ კი გსურს, ტურფავ, ჩქარა შემძულდე!..

## 2

დაგიგვიანდა ჩემო კეთილო,  
ამდენი დგომა როდი მაცალა,  
აწ ჩემს მკვდარ გრძნობებს, ჩამქრალ გულის ცეცხლს  
ვერ გააცოცხლებს ველარა ძალა.

ფუჟია ეხლა შენი ალერსი,  
ტყვილად დაინთო ცეცხლი შენს თვალში—  
ისე გაატანს იგი ჩემ გულში,  
ვით სხივი მზისა შავ-ბნელ საფლავში.

მაგრამ ერთი რამ კი მსურს ვიცოდე—  
როცა მოკვდები სად მიდის სული?  
სად მიდის ქარი, როცა ჩადგება?  
სად მიდის ცეცხლი, გულში ნთებული!..

## ე მ მ ა ს.

მითხარი ემმა, ჩემო ძვირფასო,  
სიყვარულით ვარ ეგრე სულელი,

თუ, სიყვარული არის ნაყოფი  
სისულელისა? პასუხს მოველი.

გარდა სულელურ სიყვარულისა,  
(დამიჯერევი, ძვირფასო ემმა!)  
და სიყვარულის სიგიჟეს გარდაც,  
მტანჯავს აგრეთვე თვითონ დიღლემა!

### კატაწინას.

#### 1

ვიშ, რა ვარსკვლავი გამოუჩნდა ჩემს ბნელ ღამეს,  
რა ნეტარების განვიცდი მე მას შემდეგ, წამებს!..  
ჩემებრი ბელი არ ხვდენია ქვეყნად ჯერ ნაშობს...  
თუ არ თვალთ-მაქცობს!..

როგორც მთვარისკენ მიღბის ტალღა შეყვარებული,  
ისე იმისკენ, სიყვარულით პურობილი გული...  
მუდამ იმაზედ ფიქრობს იგი, მუდამ მას ამკობს?  
თუ არ თვალთმაქცობს!

#### 2

ჩემს მხურვალ მკერდზე მოგიყრდნია შენ,  
ჩემო სულისდგამავ, კეკლუცი თავი:  
დე, ვიყო შენთვის მშობელი ზეცა,  
ჩემთვის იქნები შენ ცის ვარსკვლავი!

ძირს დაიხედე—სადღაცა შორეს,  
სულელი ხალხი ეძლევა მტრობას,  
ერთმანეთს სჭამენ, ილანძღებიან,  
არად ავდებენ ერთობას, ძმობას.

დაწანწალებენ წალმა—უკულმა,

რაცხას ეძებენ, არ იციან რას,  
იქცევა სისხლი კოკისპირული,  
ბოლო არ უჩანს კი ამ სისხლის ღვრას.

ჩვენ კი... ახ, ჩვენ ხომ ბედნიერი ვართ,  
აბა მითხარი, ჩვენ ბედს რა წაგავს?  
შენ თუ მიკვირხარ შენ მშობელ ზეცას,  
მე გულში ვიკრავ ჩემს შობილს ვარსკლავს!..

## 3

კლავ დამატყვევა შავმა ნაწნავმა,  
შავი თვალების გრძნეულმა ელვამ,  
სპეტაკი სახის სინაზემ, სითბომ,  
ფიქალის მკერდის გიჟურმა ღელვამ.

დიდი ხანია შენ დაგეძებდი,  
გიპოვე, გნახე ნანატრი ქალი.  
გიპოვე, გნახე... შენც ხომ მიპოვე,  
შენც ხომ მოგედო ტრფობისა აღი!

და მის ამბორში, იმის ალერსში  
მიდის დრო, მიდის... დღეებს არავინ სთვლის!..  
ის, როგორც სხვები, ჩემია ეხლა,  
და როგორც სხვები... სხვაზე გადამცვლის!..

## უცხოეთში.

მეც მქონდა ერთხელ ჩემი მამული,  
იქ დიდი მუხის ტოტებს ქვეშ მდგარი,  
იას ვუჭვრეტდი, ვისვენებდი მე...  
თურმე იყო ეს მხოლოდ სიზმარი!..



მეცა მსმენია ჩემს სამშობლოში  
დელა ენაზე ხმა მოუბარი,  
მეუბნებოდა: „მე მიყვარხარ შენ!..“  
თურმე იყო ეს მხოლოდ სიზმარი!..

## ტრეღედია.

### I

ჩემი იყავი, ისმინე ჩემი,  
მოყვარულ გულზე მე მომეკარი:  
იგია შენთვის, ამ უცხოეთში,  
შენი სამშობლო, შენი სახლ-კარი.

თორემ დარჩები ამ სოფლად მარტო,  
საფლავად ჩავალ შენგნითა მკვდარი.  
და უცხოეთად გადაგექცევა,  
შენი სამშობლო, შენი სახლ-კარი!

### II

გაზაფხულისა ღამეს  
ეწვია ყინვა მწველი,  
დააქვნო, ააოხრა  
ამწვანებული ველი.

ბნელ ღამეში ყმაწვილ კაცს  
ქურდულათ გაჰყვა ქალი,  
უცხოეთს გადაიკარგა  
სიყვარულითა მთვრალი.

უცხოეთში კი მათთვის  
ცხოვრება იყო ძნელი  
და უდროვოდ დასტოვეს  
იმათ წული სოფელი.

## III

იმათ საფლავზე გადუშლია ცაცხვს ფართე ჩრდილი,  
 იმის ფოთლებში მიმალული კენესის ბულბული...  
 მწვანე მდელოზე, იმ საფლავზე, მოვიდენ, დასხდენ,  
 სალამოს პირად გოგო-ბიჭი შეყვარებული.

ნიაფი ნახად აბიბინებს მწვანე ბალახსა,  
 ქივილ-ხივილით მხიარულნი ჩიტები ხტოდენ...  
 მიყუჩდენ უცებ, სევდა იგრძნეს შეყვარებულთა,  
 მწარედ ატირდენ, მაგრამ რატომ კი, არ იცოდენ!..

## სსვა და სსვა.

## 1

სწუხს გაზაფხული, უცხოთ მორთული,  
 ცრემლები სდიან ნაზ ყვავილებსა,  
 ველარ წკრიალებს ვარდზე ბულბული,  
 სიმღერის ნაცვლად გაისმის კენესა.

შენ რად იცინი ეგრე უღარდოდ?  
 ძვირფასო მინდა მოგმართო თხოვნით:  
 ატირდი, მე გთხოვ, შენს წმინდა ცრემლებს  
 მე ამოვაშრობ მხურვალე კოცნით!

## 2

ცისფერი თვალი გაზაფხულისა—  
 კეკლუცი ია, შევენებით სრული,  
 უნდა დავკრიფო,--გავდივარ ველად,  
 მსურს დაეამზადო მე თაიგული.

ეკრეფ მე ყვავილსა და... ახლა, ღმერთო,  
 რაც საიდუმლოს ფარავდა გული:

სიყვარულს, სევდას, ტკივილს გულისას,  
აკი ხმა მაღლა ჰგალობს ბუღბუღი!

და იმ სიმღერას, გულში ნაქურდალს  
ქარი ხელს ჰკიდებს, ზე მიაქვს ცაში,  
მიაქვს ცაში და ჩემს საიდუმლოს  
ყველა გაიგებს ბარსა და მთაში!..

## 3

შორს, ცის უფსკრულში უხმოდ დადიან  
ოქროს ფეხებით ვარსკვლავნი ცისა,  
და დუმილს უხვათ აპნევენ ირგვლივ,  
რომ უფრო დატკბეს ძილი მიწისა.

და ტყე, ფოთოლთა მწვანე ყურებით,  
ყურს უგდებს დუმილს, უსიტყვოდ მეტყველს,  
და როგორც მკლავებს გოლიათისას,  
თავის გრძელ აჩრდილს აფენს ფართე ველს.

ჩუ, ეს ვინ მღერის! და ამ სიმღერას  
უცებ ბანს აძლევს ჩემს მკერდში გული!  
ჩემი სულისდგმის ხმა არის იგი,  
თუ სადმე ბუჩქში მღერის ბუღბუღი!

## 4

შეხე, მთვარე, როგორ დინჯათ  
დაცურაობს ცის სივრცეში —  
და იმისი სურათი კი  
კრთის, კანკალებს წყლის ზვირთებში.

ჩემო მტრედო, ეგრეთ შენცა,  
მშვიდათ ზიხარ მაგ კრებულში,

მაგრამ ერთი დაგანახა  
თუ როგორ კრთი ამ ჩემ გულში!..

## 5

ის დიდი ალი სიყვარულისა, სისხლს რომ გვიწვავდა,  
ნეტავ სად მიდის, როცა გული დაიწვის, ქრება?..  
— იქითკენ მიდის, საითც მოვიდა, — ჯოჯოხეთისკენ  
და სამუდამოდ დაწყევლილი აღშვი იწვება!

## 6

კვლავ გაიღვიძა გონებაში ძველმა სურათმა,  
დიდი ხნის წარსულს, გამონაცადს დასტირის გული...  
ახ, რატომ არის, რატომ არის, რომ შენ ძვირფას ხმას  
ვისმენ მე სევდით შეპყრობილი, დამწუხრებული!

ნუ, ნუ მპირდები მე სიყვარულს გაუთავებელს,  
ნუთუ არ იცი, ყველაფერს სპობს სიკვდილი კრული!  
იმის კლანჭებს ქვეშ სული ხდება მშვენიერებას,  
ვერ გაუძლებს მას სიყვარულიც და გაზაფხული!

ნუ, ნუ მპირდები შენ სიყვარულს გაუთავებელს,  
გადამეხვევ, მით უშველი ჩემი გულის დარდს.  
და ღიმილითა გადაავლე თვალი ზვალ დილით,  
ჩემგან ნაჩუქარ, სუნ მიღებულ, გაზაფხულის ვარდს.

## 7

თუ შეგიძლია მათ სიღრმეში რამის დანახვა,  
ამ ლექსების ზღვას, მეგობარო, მიაპყარ თვალი,  
იქნებ იხილო მის ზვირთებში თუ როგორ დადის,  
როგორ სეირნობს ახალგაზრდა, შვენება ქალი.

და თუ მახვილი სმენაცა გაქვს, გაიგონებ შენ,



გაიგონებ შენ იმის ხმასა და იმის კენესა  
 კენესა, სიცილი და სიმღერა მოგაჯადოებს,  
 და სამუდამოთ დაიმონებს საწყალს გულს შენსას.

შეხედვით, სიტყვით დაგატყვევებს, შეგიპყრობს იგი,  
 საკუთარ თავზე ძალა მათი მაქვს გამოცდილი—  
 და შეყვარებულ სულელათა გადაიქცევი,  
 ვერ მოგასვენებს ვერცა ძილი და ვერც ღვიძილი.

## 8

დიდი ხანია, რაც სევდით სავსე  
 გამიგონია ამბავი მწარი:  
 გიჟივით უყვარს ვაჟს მისი სატრფო,  
 მაგრამ ღალატობს მას მეგობარი.

და ბედშავს აშიყს, შეურაცყოფილს,  
 მისი სულისდგმა უნდა სძულდეს მას,—  
 ჭკუა, გონება ამას მოითხოვს,  
 ხომ არ აყვება მარტო გულის თქმას!

რომ გამოვიდეს საჯაროთ იგი  
 და დაიძახოს: „ომს უცხადებს მას,  
 ვინც გაბედავს და რაიმე საძრახს  
 იტყვის, შეჰკადრებს სატრფოს, სულისდგმას!“

რა თქმა უნდა რომ მოპირდაპირეს  
 ვერ იპოვის ის ხალხის კრებულში  
 და მჭრელი ხმალი შეყვარებულმა,  
 უნდა დაიკრას საკუთარ გულში!

## 9

მიყვარხარ, მაგრამ მე უბედური,

უნდა გაგშორდე... ნუ გამიწყრები!  
განა შეჭფერის შენსა მშვენებას  
ჩემი სიმკლევე, ჩემი სევდები!..

მე შენ მიყვარხარ!.. და ეჭა ღმერთო,  
ამ სიყვარულით დღითი დღე ვდნები...  
შენ შემიძულე! შენ შემიძულე!  
უნდა გავიქცე... ნუ გამიწყრები!

## 10

დაღამებამდე მაზედ სტირდა მწუხარე გული,  
შუღამემდღე მაზედ ფიქრმა არ დამაძინა,  
როს ნაშვალამევს მომერია დაბოლოს ძილი,  
მყისვე სიზმარმა დამაყენა მე იმის წინა.

ვით გაზაფხულის ტურთა ვარდი გაშლილა იგი,  
ზის, საკერაზე დაუბრია ძვირფასი თავი,  
ამ უცხო ყვავილს, ჩემი გულის საკლავად შექმნილს,  
ეტყობა, რომ მას არ უგრძენია ჯერ სევდა მწვავი.

მიტომაც შემხვდა ეგრე მშვიდათ... კი ვერ მიხვდა ის,  
თუ რათ მაქვს სახე დაღვრემილი და დადაგული:  
„მითხარი, ჰენრიხ, ფერი ასე რად დაგკარგვია.  
მითხარი ჩემო, მე მითხარი, რით გტკივა კული?“

და შემომცქერის ეგრე მშვიდათ... კიდევ ვერ მიხვდა,  
თუ მისი ჰენრიხ რით იტანჯვის, მწარედ რათა სტირს:  
„რათ სტირი, რათა, ჩემო ჰენრიხ, მითხარი— რათა?  
ნუთუ არ მეტყვი მე შენსა დარდს, შენსა გასაჰირს?“

და კვლავ მიცქერი ეგრე მშვიდათ... და მე კი, მე კი,  
არ შემიძლია მოვითმინო, ცეცხლი მედება:



„შენი ბრალია, თვალის ჩინო, შენი ბრალია  
შენი ბრალია ჩემი გული რომ ასე დნება!“

გაიგონა რა ეს სიტყვები, ზე წამოდგა ის,  
ჩემთან მოვიდა, ხელი მახო მან სნეულ გულზე...  
თავბრუ დამხვევმა ჟრუანტელმა ტანს გამირბინა  
და გამედვიძა... წყლული უფრო დამერთო წყლულზე.

## 11

თავდაპირველად მეტის მეტად ვიტანჯებოდი,  
აღარ მეგონა—გაუძლებდი თუ არა ტანჯვას...  
ეჰ, როგორც ხედავ, გაუუძელი, მაგრამ თუ როგორ;  
თუ როგორ, სატრფოვ, გვედრები ნუ მკითხავ ამას!..

## 12

სიბრძნის ქვას, ცოდნას, ძმობა-სიყვარულს  
მუდამ აქებდენ, ეხლაც აქებენ,—  
მეც ვაქებდი მათ და კვლავაც ვაქებ,  
მაგრამ ჯერ იმათ კი ვერ მივაგენ!..

## 13

ცაში, სადაც ვარსკვლავნი კრთიან,  
ჩვენ ის შვებანი გველოდებიან,  
რომელთაც ქვეყნად ვერ მოვესწრებით...  
გჯეროდეთ, ძმებო, როცა მოგვედებით,  
სიკვდილის მკერდზე თურმე გავთბებით  
და სამუდამოთ ცაში დავტკებებით!..

## 14

ზომეცი ხელი, მეგობარდ, დამადევ გულზე,—  
გესმის თუ არა იქ კაკუნი ხშირი და ჩქარი?



იქ მეკუბოვე ჩემი ზის და იგი მუშაობს, ეკონომიკური კუბოს მიმზადებს,—ოსტატია ის უებარეა ჩემთვისა

დღისით და ღამით მოუსვენრად მუშაობს იგი, ძილს არ მანებებს,—მე კი ისე მწყურია ძილი!.. ჰეი, ძმობილო, გაათავე, მორჩი კეთებას და მომასვენე დაქანცული, ღონე-მიხდილი!..

## 15

იშლება გულში სურვილთ ყვავილი, გადის ხანი და ისევე ჰქნება, კვლავ სცვლის გაზაფხულს ცივი ზამთარი, დასაბამიდან ასე გძელდება.

იცის ეს გულმა,—ლხენა სიამე და სიყვარულიც მიტომ წბილდება... რა ჰქვიანია ეს ჩემი გული, რომ ასე ადრე სისხლით იცლება!..

## 16. ორგული ღიზა.

ორგული ღიზა, ტუჩზე ღიმილით, უღორიხთან მოდის, ეალერსება. მის წინ უღორიხი დგას... სწორედ ასე, ანათებს ჰრაქი, როცა ის ჰრება.

ოხუნჯობს ღიზა, ცელქობს, თამაშობს... „ოჰ, ღმერთო, ურლიხ, რათ ხარ მდუმარე! კმარა, გეყოფა ჩემო ძვირფასო, მომეალერსე და გამახარე!“

ოხუნჯობს ღიზა, ცელქობს, თამაშობს, ფეხებთან უზის და ეუბნება: „ცივი რატომხარ ემაგრე უღორიხ, შენი თითები ყინულს ედრება!“



ოხუნჯობს ღიზა, ცელქობს, თამაშობს,  
მაგრამ შიში კი ეპარვის გულში:  
„ოჰ, უღრიზ, როგორ გაფითრებულხარ,  
იქვი თვარ შეგდის ჩემ სიყვარულში?“

საბრალო ურლიზ... გული ტანჯული  
დასქლექებია... და ორგულ ღიზას  
ჰკოცნის ტუჩებში, მაგრამ კითხვებზე  
მისი ბაგენი არ იღებენ ხმას.

## 17

ხომ ხედავ გულზე ამ წითელ ყვავილს?  
იცი თუ არა იგი რას ნიშნავს?  
ველარ ავიტან ბინძურ მონებას,  
თავისუფლებას შევსწირავ მე თავს!

ნუ დაივიწყებ ამას მარიამ,  
შენ ჩემი მეფე გსურს გახთე განა?  
იკოდე ტურფავ, შენამდე სამი  
ჩამოვაბძანე მე ტახტიდანა...

## 18

მოდის სიკვდილი... ეხლა, ეხლა თამამათ ვიტყვი  
იმას, რასაც მე სიამაყით ვფარავდი გულში:  
შენთვის მარიამ, მხოლოდ შენთვის მიცემდა გული,  
მე დავალამე შენზედ ფიქრში, შენ სიყვარულში!

მზათ არის კუბო... ჩქარა, ჩქარა დამმარხვენ მე...  
იქ მოვისვენებ, მოვიპოვებ სიმშვიდეს სულის...  
შენ კი მარიამ, შენ, როდესაც მოგაგონდები,  
ქვითინს დაიწყებ, -- კვალად მონა ძველ სიყვარულის!

და ხშირად, ხშირად მწარე სიკვდილს მოინატრებ შენ...  
დამშვილდი ჩემო, ქვეყნად ასე განაგებს ბედი:

პატიოსანსა, მოუსყიდველს და პირდაპირსა,  
მწუხარებით და ტანჯვა-კვნესით ვესება მკერდს.

## 19

როს სიყვარულით მწარეთ ტანჯული,  
ტანჯვას ვერ იტანს და სკდება გული,—  
მაშინ ვარსკლავნი ცაში სტკბებიან,  
და ერთმანეთსა ეუბნებიან:

„შეხეთ, რა არის ეს სიყვარული!  
ბეჩავი ხალხი! ბეჩავი გული!  
ეს სიყვარული... როგორ გგონიათ!..  
მხოლოდ ტანჯვისთვის მოუგონიათ!

„ვარსკვლავები კი—მადლობა ჩვენ ღმერთს  
მოკლებულნი ვართ სიავეს ასეთს,  
არ ვიცით რაა ეს გრძნობა მწვავე,  
კიდევ ამიტომ ვართ ჩვენ უკვდავი!“

## 20

ტურთა ყვავილნი, სხივთა აშიყნი,  
გატაცებულნი შესცქერიან ცას.  
და გაზაფხულის მძლე ნაკადულნი,  
მიიჩქარიან, რომ შეერთონ ზღვას.

ჩემი სიმღერა? ოცნების ფრთებით  
ის შენ დაგეძებს, სატრფოვ გულისა,  
რომ შენ მოგიძღვნას ჩემი ცრემლები  
ცრემლები წმინდა სიყვარულისა...

## 21

ცის დამაშვენო, ოქროს თვალა, ჩემო ვარსკვლაო,



თუ დაინახო, მიესალმე ჩემსა სულისდგმას...  
და უთხარი რომ ჩემი გული, მწარეთ ტანჯვით  
მისი ერთგული, იმისი ტყვე, კვლავ ეკუთვნის მას!..

## 22

ჩემო ერთგულო, აბა ჩქარა შეკმაზე ცხენი,  
გასწი, გაფრინდი ღუნკანისა შენ სასახლეში,  
ჩუმაღ მიდი იქ, მეჯინიბეს ნახავ და ჰკითხე,  
თუ რომელს ათხოვს ღუნკან თავის ქალიშვილებში,

თუ გაიგო, რომ თეთრფერვანსო, — იჩქარე, მოდი,  
ნუ დაზოგავ ცხენს, გადმოლახე მსწრაფლად მთა-ბარი...  
ხოლო თუ გითხრას — შავგრემანსო, — ნულარ სტანჯავ  
ოღონდ კი გზაში მიყიდე მე გძელი ბაწარი!.. [თავს,

## 23

როცა ჩემს სატრფოს ვუზივარ გვერდით,  
ფრთა გაშლილ არწივს ჩემი გული გავს...  
მდიდარიც კი ვარ, ძლიერიც კი ვარ,  
არავის მაშინ არ მოუხრი თავს!

მაგრამ როდესაც ვშორდები იმას,  
დავეხეტები, ვით მათხოვარი  
და ფრთა მოქრილი, დასუსტებული,  
ჩემზე საბრალო არავინ არი!..

## 24

ვხეტიალობდი ხშირ ხეივანში  
ჩემთანა ზრდილი მწარე ფიქრებით,  
უცებ ოცნებამ ფრთები გაშალა,  
გაღვიძებულმა ნაცნობი ხმებით.

— მითხარით ერთი ფრინველნო ცისა, ბიზლირთაჲსა  
ვისგან ისწავლეთ თქვენ ეგ სიმღერა?  
გავიგებ რა ემაგ ტკბილ ხმებსა,  
ჩემ გულში ხშირი ატყდება ძგერა!..

„ტურფა ასული, უცხო ასული  
ამ ხეივანში დასეირნობდა,  
მისგან ვისწავლეთ, იმას მოვპარეთ,  
იგი ამ ხმებსა ხშირად მღეროდა“.

— კმარა, გაჩუმდით ცისა ფრინველნო,  
კმარა, მიგიხვდი მე თქვენ საწადელს:  
სევდა-ნალველი გინდათ მომტაცოთ,  
ვერ დაგანებებთ ჩემ სევდა-ნალველს!..

## 25

ტკბილი ოცნებით შეპყრობილი წყლისა შროშანი,  
ველარ სძლევს სურვილს მშვენიერი, მაღლა იღებს თავს.  
და ზეციდან კი სიყვარულის სევდით აღვსილი,  
აშიცი მთვარე მას ვერცხლისფერ სხივებით მოსავს.

უფეთქავს გული წყლისა შროშანს, მაგრამ მორცხვია,  
კდმა მოსილი ვერ უსწორებს თვალებს ის მთვარეს,  
საჩქაროთ თავს ხრის, მაგრამ დახეთ, მთვარემ ტალღებში,  
ისევ მას ხედავს, ხედავს მთვარეს... მაგრამ მწუხარეს!..

## 26

მაისის ღამის ციურნი დასნი,  
ამხანაგურად მიქნევენ თვალებს,—  
თუ სიყვარულმა შენ დაგამცირა.  
სიყვარულივე შენ აგამაღლებს!..

იქ, ვარდის ტოტზე ქვითინებს, ტირის,  
გრძნობას ვერ ფარავს, კენესის ბუღბუღი.  
და კენესა მისი გულში მწვდება მე  
და მკვდრეთით დგება ხელ ახლა გული.

## 27

დავდივარ ბაღში ყვავილთა შორის  
და ვით ყვავილი ვიშლები, ვყვავი,  
დავდივარ ბაღში და როგორც მთვრალსა,  
ველარ მიჭირავს მე რიგზე თავი.

ხელი მომკიდე მკლავში სულისდგმავ,  
— ამ სიყვარულით ისე ვარ მთვრალი,  
ლამის დავეცე შენ წინ მუხლებზე...  
ხომ მოიჯაყე საწყალი ქალი!

## 28

„ჩვენო ძვირფასო, ჩვენო პოეტო,  
ნეტავი ეხლა სადა ხარ შენა,  
რომ თუ ლექსებით მოგვაღებინე ჩვენ,  
მხურვალე კოცნით განახოთ ღებენა!“

და პოეტი კი გადახვეწილი,  
გულ-დადაგული და სევდიანი  
დაეხეტება უგზო-უკვალოდ  
დატანჯული და თვალ ცრემლიანი.

ახ, ნეტავი რა ჩრდილოეთს იმით,  
რომ სამხრეთს სხივი უხვად ანათებს...  
რის მაქნისია შორიდან კოცნა,  
იგი ჩემ ბნელ გულს ვერ გაანათებს!..

## 29

რის გეშინია ვინ მოგიპარავს?  
დამშვიდდი, ენდე ერთგულ მეგობარს:  
დეე, მოვიდეს თუ უნდა ქურდი,  
მე მჭიდროდ, მაგრად ჩავიკეტავ კარს.

დაე დაჰბეროს ქარმა ჩვენს ბინას,  
მაგარი არის მისი კედელი,  
ცეცხლის გაჩენის თუ გეშინია,  
მოდდი, ჩავაქროთ ჩქარა სანთელი!

ასე არა სჯობს? ეხლა სიცოცხლევ,  
შემომეხვიო უნდა კისერში...  
ახ, სიცივეა?.. ჩქარა, მაშ ჩქარა  
თუ გინდა გათბე, ჩამეკარ მკერდში!..

## 30

არ შემიძლია რომ დაგივიწყო,  
არ შემიძლია გავწირო თავი,  
მახსოვს, კვლავ მახსოვს დამწველო ჩემო,  
სულით, ხორციტ რომ ჩემი იყავი!

ახ, ეხლაც მინდა შენი სხეულის  
ვიყო პატრონი, პატრონი სრული,  
შენი სული კი... წაიღონ თუ სურთ,  
მე საკუთარიც მეყოფა სული.

მოდდი უსულოდ, ნუ გედარდება,  
გაგინაწილებ, გაგიყოფ ჩემს სულს.—  
და უფრო მტკიცედ დაგიკავშირებ,  
უფრო დავიპყრობ მაშინ მე შენ გულს.

## 31. იმგზავრე.

ოდეს დაგტოვოს სატრფომ გულისა,  
 უნდა საჩქაროდ სხვა შეიყვარო,  
 მაგრამ ჯობია აიღო ჯოხი  
 და შორსა გზასა გაჰყვე, იმგზავრო!

მოგესმის გზაში ძეწნის შრიალი,  
 თავს რომ დასცქერის ტბას მოელვარეს,—  
 ჩამოჯექ ჩრდილში და შენი სევდა  
 შესჩივლე უთხარ იქ არე-მარეს.

შეჰყევი ბილიკს მთის მწვერვალისკენ,  
 თუ გაგიჰირდეს და მოჰყვე ჩივილს,  
 მაინც წინ გასწი, — ახვალ მწვერვალზე,  
 იქ გაიგონებ არწივის ყივილს.

და თვით არწივად გადაიქცევი,  
 გადაივიწყებ შენი გულის ჰირს  
 და დარწმუნდები — სატრფოს დაკარგვა  
 არც იმდენია, წყენათ არა ღირს!..

## 32. ეჯუნე.

რაკი ჯადოსნურ ძალებითა გამომიწვიე,  
 დასძლიე ჩემი სიკვდილი და სამარე ბნელი,  
 რაკი დამინთე გულში ნდომის ცეცხლი უშრეტი,  
 დამინთე გულში სიყვარული ტკბილი და მწველი.

მაშ მოდი, მოდი მომაწებე ტუჩი ტუჩებზე,  
 ადამიანის მომახვედრე სუნთქვა მხურვალე,  
 ჩამიკარ გულში, მკვდრეთით აღმდგარს გადამეხვიე,  
 გადამეხვიე და გამიძლე გული მწყურვალე!..

## 33

ერთხელ ღამით, მთვარის შუქზე  
დავინახე ელფი ხტოდა  
და ეფენების ჟღარა-ჟღური  
ირგვლივ მწყობრად გაისმოდა.

თეთრი ცხენი, თხელ ჰაერში,  
დაცურავდა ვითა გელი,  
თავს მას რქები უმშვენებდა  
ოქრო-ვერცხლით მონაქელი.

და ღიმილით თავს მიქნევდა  
მშვენიერი ვინმე ქალი...  
რას ნიშნავს ეს? სიყვარულსა,  
თუ მოვკვდები მე საწყალი?..

## 34

ვერ იცდის მკერდში, ვერ იცდის  
მღელვარე გრძობა გულისა...  
გაშალე ფრთები, გაფრინდი  
სიმღერავ გაზაფხულისა.

მიფრინდი სახლთან... ფანჯრის ქვეშ  
ბალი მდიდარი იქ არი,  
იქ ვარდს იხილავ და იმას  
ჩემი სალამი უთხარი!..

## 35

დაცხრა გულში-მტრობა, შური.  
კვლავ იღვიძებს სიყვარული,  
კვლავ მეძახის, კვლავ მატყვევებს  
ჩემი ტურფა გაზაფხული.



კვლავ დილიდან საღამომდე  
ვხეტიალობ სადმე ჩრდილში,  
და დავეძებ გულის მეფას  
წინ შეხვედრილ ქალიშვილში.

გიჟმაჟი წყლის ფართე ხიდზე  
მივდივარ და კვლავ მოველი—  
გამოივლის იგი მეთქი,  
ჩემი გულის საყვარელი.

და სწვდება გულს გიჟი მღერა,  
ეს ჩუხჩუხებს ძირს ჩანჩქერი...  
გული ლაღობს, გული ხარობს  
სიყვარულით ანაძგერი.

კვლავ გადასცდა თვის გზას ქკუა,  
გიჟურ ფიქრთა მაკრას ჯარი...  
ჩიტები კი დამცინიან:  
„შეხედეთ, რა ბრიყვი არი!“

## 36

როცა მაგ შენი ცისფერ თვალებით,  
ჩემო სულისდგმავ, თვალში მიცქერი,  
ღვთიურ ღუმელსა მტკიცედ ვიცავ მე,  
მაგრამ გულში კი ხმამაღლა ვმღერი.

თვალნი დამწველნი, თვალნი ციურნი,  
არც ღღე, არც ღამე არ მშორდებიან  
და ტკბილ ოცნებათ ლეგიონები  
მათ ღრმა ტალღებში იზადებიან!..

## 37

კვლავ მწვანდება ტყე და ველი,  
რალას უცდი, აღზდევ გულო!..  
მზე იცინის, მზე კაშკაშებს—  
გამარჯობა გაზაფხულო!

დახეთ ბუღბუღს — მღერის, კვნესის,  
მოხიბლული მხიარული...  
მის მღერაში, მის კვნესაში  
გაშოსკვივის სიყვარული.

## 38

მტერი ახლოა, უკვე ისმის ხმა ნაღარისა...  
ახ, ვიცი, ვიცი, თუ რაზედ სძგერს ეს ჩემი გული:  
მის წინააღმდეგ შეთქმულობა აღმოვაჩინე—  
მოდიან მაზედ სატრფოს თვალნი და გაზაფხული!

გაზაფხული და ეშით სავსე სატრფოს თვალები,  
კარგად ვიცი, რომ დაიპყრობენ ჩემს უმწეო გულს...  
დახეთ, მტრებს აკი მოკავშირე აღმოჩენიათ,  
იმათ გვერდში მე ვხედავ ვარდსა და კიდევ ბუღბუღს!..

## 39

გაზაფხულია. ტურფა მდელიოზე  
თვალსა იტაცებს ყვავილთ კრებული.  
სიფრთხილვ მმართებს, თორემ ერთ მათგანს  
კვლავ შეიყვარებს სულელი გული!

მაგრამ ნეტავი ვინ მიგებს მახეს!  
პასუხს იძლევა ვარდის მგოსანი:  
„ფრთხილად იყავი! ფრთხილად იყავი!  
არ არის სანდო, ნაზი სოსანი!“

ტრფობისა ცეცხლში, გამომეტყველ ღამის დუმილში  
 ჩემო სულისდგამვ, ცეცხლზე უფრო ცხელი ხარ, მწველი...  
 ჩამეკარ გულში, გამომგუდე ე მაგ მკლავებში,  
 ჩამიკარ გულში, საყვარელო მომხვიე ხელი!..

გადაეხვია... ამაოა წუხილი აწი...  
 ჩაეკრა გულში... კმაყოფილი იქნება მგონი...  
 გადაეხვია მშვენიერი ცფიერ გველ შორის...  
 გულში ჩაეკრა... ბედნიერი ლაოკოონი!

ჩემი მისდამი სიყვარული მარტში დაიწყო,  
 გული ამტკივდა და სნეული ვიწექი სახლში,  
 მაგრამ გვეწვია საქორწილო კაბით მაისი,  
 გაქრა ტკივილი და ცრემლებიც შემაშრა თვალში.

უამსა მწუხრისას, სუროთ მორთულ ტალავერის ქვეშ,  
 მაღალი ცაცხვის ტოტებს უკან, ორი სულდგმული,  
 ვისხედით ერთად მე და იგი, ვისხედით ერთად,  
 იქ გავამჟღავნე ჩემი გრძნობა და სიყვარული.

ფშინავდა ვარდი. მის ტოტებში უცხო რამ ჰანგებს,  
 ჩვენ შორი ახლოს, ჩვენი მოწმე მღერდა ბუღბუღი,  
 მაგრამ მის სიტყვებს ვერ ვარჩევდით, ჩვენ არ გვეცალა,  
 ჩვენ სერიოზულ საუბარში ვიყავთ წასული.

ვეფიცებოდით ჩვენ ერთმანეთს უკვდავ სიყვარულს...  
 დრო მიფრინავდა... ჩქარის ბიჯით დრო მიდიოდა,  
 ჩაცურდა მთვარე და ვარსკვლავნი აინთენ ცაში,  
 ჩვენ კვლავ ვიჯექით, მაგრამ ეხლა ცრემლი გვდიოდა.

## 42

დიდი ხანია არ მწამს სამოთხე,  
არის ის თუ არ, როდი მაქვს დარდი,  
მწამს მხოლოდ შენი შავი თვალები,  
მათში აღზდილი ია და ვარდი!

---

დიდი ხანია აღარ მწამს ღმერთი,  
ქვეყნიურ დარდმა არ გამახარა,  
მე მხოლოდ ერთი შენი გული მწამს  
და ჩემთვის რწმენად ესეცა კმარა.

---

დიდი ხანია არ მწამს ეშმაკი,  
არც ჯოჯოხეთის შავი უფსკრული...  
მე ჯოჯოხეთად, გენიის ტანჯვად  
მეყოფა შენი ბოროტი გული!

---

## 43

მინახავს სიზმრად აღტაცებაც, მწარე ტკივილიც,  
ია და ვარდი სატრფოს ხუჭუჭს მინახავს, თმაში,  
მწარე სიტყვები, ტკბილი კოცნა, ტკბილი აღერსი  
და მოწყენილი, სევდის ხმებიც ჩემ სიმღერაში.

---

დიდი ხანია გადამელო მე ის სიზმრები,  
შენც გაქრი ჩემო საყვარელო, ჩემო სულისდგმა,  
მხოლოდღა ერთი დარჩა ჩემთან ჩემი სიმღერა  
და სიმღერაში ჩემი ოხვრა, ჩემი გულისთქმა.

---

დაობლებულო, შენც გაფრინდი, ჩემო სიმღერავ,  
გაფრინდი ჩემო მეგობარო, გაჰყევ ჩემ სიზმარს.  
და იმ სიზმრებში ყველაზედ ტკბილს ჩაეკარ გულში  
და ჩემი ოხვრა შეურთევი იმის ტკბილ ფიქრებს?..

---

სალამობით, იმ ხეივანში,  
სად შადრევანი ამოჩუხჩუხებს,  
მზეთ უნახავი სულთანის ქალი  
გამოდრიოდა და სეირნობდა.

ყოველ სალამოს იმ ხეივანში,  
სად შადრევანი ამოჩუხჩუხებს,  
ელოდა ამ ქალს მონა—ყმაწვილი,  
ელოდა იმას, თან კი ჭკნებოდა.

მიუახლოვდა ერთხელ იმ მონას  
სულთანის ქალი, ასე უთხრა მას:  
„ვინა ხარ შენა, სადაური ხარ,  
ან რა გვარი ხარ,—მსურს მე ვიცოდე!“

მონამ მიუგო: „მქვიან მაჰმადი,  
სამშობლოს ჩემსას კი—იემენი,  
გვარად აზრა ვარ... ამ გვარის შვილი  
რომ შეიყვარებს, წამსვე მოკვდება!..“

მთელს არემარეს, ვით სიზმარი რამ სევდიანი,  
შემოდგომისა დაჰფენია თხელი ღრუბელი.  
და ტან გაძარცულ, გატიტვლებულ ხე-მცენარეებს  
შემომხვევია მძიმე სევდა, გამოუთქმელი.

მხოლოდ ერთი ხე გატიტვლებულ მოძმეთა შორის  
ჯერ არ გაჰყრია თავის ფურცლებს, მწვანე სამოსელს,  
თუმც კივი ცრემლით, სევდის შვილით, ატირებულა,  
თრთის და კანკალებს, ველარ ფარავს ის ბოღმა-ნაღველს.

ახ, დამერწმუნეთ, ამ მოწყენილ სურათსა მოგავს  
ეს ჩემი გულიც! დავრდომილი, მკენარი, უსასო,  
და მცენარე კი, გაზაფხულის მწვანე კაბაში,  
შენი სახეა, ამ ჩემ გულში, ჩემო ძვირფასო!

## 46

დღითი დღე იგივე დაღვრემილი, ღრუბლიანი ცა,  
იგივე ქალაქი, ის ოდნავათ არ გამოცვლილა --  
იგივე სიმდაბლე, სიწვრიმალე და სიბეჩავე,  
არა, არ უჩანს განახლების ამ ქალაქს დღია!

და ეს ცხვირები!.. ისევ გძელი, როგორაც ძველად,  
იგივე სურდო ამ ცხვირებში, იგივე სენი!..  
მათი პატრონი უფროსთა წინ კვლავ იხრის ქედსა,  
უმცროსების წინ მედიდურნი, არრის მომთმენნი!

ოხ, რა მიყვარხარ, რა მიყვარხარ, ჩემო სამხრეთო!  
შენი ღმერთები და სიღრმევე მტრედის ფერ ცისა  
კვლავ მინდა ვნახო... მომაშორეთ, არ მინდა მეტად  
ვიყო მნახველი ამ მხეცების, ამ ამინდისა!

## 47

მივარდნილი რამ მოენახა ბაღში ალაგი,  
ჩრდილში ყვაოდა მიმალული ყვავილი მკრთალი.  
ზამთარი უკვე შეეცვალა გაზაფხულის მხეს,  
მაგრამ იმ ყვავილს როდი აჩნდა სხივების ძალი...  
სეირნობის დროს მოვკარ იმას შემთხვევით თვალი  
და წარმომიდგა სევდიანი, სნეული ქალი...

მკრთალმა ყვავილმა ერთხელ ასე ჩამიფურჩულა:  
„ძვირფასო ძმავო, მე ასე ესურს, რომ მომწყვიტო შენ!“  
„ვერა, ვერ მოგწყვიტ! — უპასუხე — ვერა, ვერ მოგწყვიტ,



შენ არ მინდებარ, ჩემ გულის დარდს შენ ვერ მოარჩენ!  
 მე მსურს ყვავილი სისხლით საესე, წითელი ვარდი, გიგანტური  
 იგი მინდა მე, იმან უნდა მომიკლას დარდი!“

„შენი ნებაა, მიპასუხა თეთრმა ყვავილმა,  
 მხოლოდ გახსოვდეს ჩემი სიტყვა, ტყვილადა შვრები,  
 მთელი ქვეყანა რომ გასთელო კიდითი კიდე,  
 იმ წითელ ყვავილს ვერ იპოვი, ვერ შეეყრები.  
 ჩემო ძვირფასო დამიჯერე, მომწყვიტე მე შენ,  
 ნუთუ ვერ ხედავ, ერთი სენით სნეული ვართ ჩვენ!..“

ველარ შვიდიელ უარის თქმა, მოვსწყვიტე იგი,  
 მოვსწყვიტე ბაღში მე ყვავილი და რასა ვხედავ!  
 გადაიფანტა ჩემ გულიდან შავი ბურუსი,  
 გაქრა, წავიდა ჩემ გულიდან წყეული სევდა.  
 და აყვავილდა, აყვავილდა, დაიწყო ლხენა,  
 გაცოცხლდა მასში, მკვდრეთით აღდგა იმედი, რწმენა.

#### 48. სოფომონა.

შეწყდა ნესტვისა, წინწილისა, ებნისა ხმები,  
 აღარ გაისმის სასახლეში ფსალმუნნი ტკბილი,  
 დაღრეჯილია ბრძენი მეფე ისრაელისა,  
 არ ეკარება მოსვენება, დაჰკარგა ძილი.

დაუძლეველი, ის შავს ფიქრებს დაუძლევიან,  
 შეკრულ-შებოქილს უკენესს, უშფოთს, უტირის გული...  
 შუბლ-შეკრული და საშიშარი თვის სარეცელზე,  
 ზის, არ მოძრაობს, არას ამბობს მეფე ცხებულო.

დაბოლოს მეფემ დაარღვია მძიმე სიჩქ მე,  
 თავი აიღო, გარეშემო მოავლო თვალი,

კარის კაცებმა, მსახურებმა მსწრაფლად დასტოვეს, რაკი სიცოცხლის დაეტყო მას კვლავ ნიშან წყალბინიანთა.

მარტოდ შთენილმა, მაშინ ასთე წარმოსთქვა ბრძენმა:  
 „რათ შემეყვარდი, რატომ შეგხვდი შენ, სულამითა,  
 რა ოხრად მინდა, რომ მეფე ვარ ქვეყნის მპყრობელი,  
 თუ არ გიყვარვარ?.. სიკვდილს ვუხმობ დღით და ღამითა!“

ნაირ ყვავილით, ვარდის კონით, ოქროს ქსოვილით,  
 ბედოვლათ ხელით, წრფელი გულით, ამ წიგნაკს—ძეგლსა  
 ჩემ სიმღერების სამარეხედ, მოვრთავდი უცხოდ,  
 უცხოდ მოვრთავდი, დავაღვრიდი მარგალიტ ცრემლსა,

რომ სიყვარულის დამარხვაცა იქვე შემეძლოს!..  
 (ტრფობის საფლავზე მშვენიერი იშლება ვარდი,  
 საყნოსად ამო, გაფურჩქენილი, ვითა ქალწული,  
 ვის დანახვამედ მსწრაფლ გიქრება გულიდან დარდი).

მაგრამ მარხია იქა მხოლოდ სიმღერა ჩემი,  
 ვით ლავა ეტნით, გულიდან რომ გადმოხეთქილა,  
 სულის სიღრმეში შთანასხი, დაბადებული,  
 როცა ბრწყინავდა იმედების ჩემთვისაც დილა.

და ეხლა იგი გაყინული, გაშეშებული,  
 სახე მიმქრალი უშნოდ გდია, უდროოდ მკვდარი...  
 მაგრამ თუ მოხვდა სიყვარულის მხურვალე სუნთქვა,  
 აქიკვიკდება მხიარული, შეუპოვარი.

თუ თანაგრძნობის ცრემლები მას დაეპყრება,  
 იმედი ტკბილი ისევ გულში გამოიღვიძებს...  
 და აღდგებიან, აღდგებიან მკვდრეთით ყვავილნი,  
 თუ შენი ხელი, უცხოეთში, აღერსს დამიწყებს.



და ასოები ამ წიგნაკის, დადუმებულნი,  
ამღერდებიან მხიარულნი, გადაშლიან გულს,  
ციურ სიმღერით, ნაზი გრძნობით თვალში ჩაგხედვენ  
და მოგიძღვნიან ჩემს დიდ სევდას, ჩემს დიდ სიყვარულს!

50. ბზაკუნის მთაზე.

აღმოსავლეთით დაეტყო ზეცას,  
სხივი, ნასროლი შორეულ მზისა  
და შორს, თხელ ნისლის ოკეანეში,  
დაცურაობენ მწვერვალნი მთისა.

ოჰ, ნეტავ ღმერთო, ფრენა შემეძლოს!  
რა დამიდგება ბედნიერს წინა!..  
ქარის სისწრაფით მივფრინდებოდი  
სადაც სულისდგმას უჭირავს ბინა.

და იმ ოთახში, სადაც მას სძინავს,  
მისი მორჩილი მოეხრიდი თავსა,  
მუხლს მოვიყრიდი და თაყვანს ვსცემდი,  
ვითა ღვთაებას და სალოცავსა.

და ფრთხილად, ფრთხილად თოვლისფერ ყურში  
იმას ვეტყოდი, რაც გულს სწადიან:  
„დეე, გესიზმროს მე რომ გიყვარვარ,  
რომ ვერაოდეს ჩვენ ვერ გაგვყრიან!“

51

კაშკაშ მზის სხივით, რა გვეწვევა ჩვენ გაზაფხული,  
ყვავილით მორთულს, დასტრფის მაშინ, ველ-მინდორს გული...  
როდესაც მთვარე, მოელვარე, თეთრი სხივებით  
ცას გაუღიმებს, ცა ირთვება წამს ვარსკვლავებით.  
ოდეს პოეტი, მისი სატრფოს ჩასცქერის თვალებს,



ველარ ამავრებს მაშინ გულში სურვილის ალებს...  
 ეს აგრე არის: მზე, ვარსკვლავნი, ყვავილი ჭოვარე,  
 სატრფოს თვალეები—მოციმციმე და მოელვარე,  
 მშვენიერია ყველა ესე, მაგრამ... სთქვით, განა  
 მხოლოდ ამათში გამოსტევიის მთელი ქვეყანა?...



## სონეტები.

### 1. ღვას.

მახსოვს იგი დრო, როცა გიჟი, დაბრმავებული,  
 დაგშორდი მშობელს, საყვარელსა დაგშორდი მამულს...  
 არ მასვენებდა გაუმაძღარ გულის წყურვილი,  
 ეძებდა იგი ამა ქვეყნად ცოცხალ სიყვარულს.

წავედი. მგზავრსა არაქათი გამომელია,  
 ბევრი ვეძებე ამხანაგი, გულისა ტოლი,  
 მათ სანაცვალოდ კი მხოლოდ მტრობას გადავეყარე,  
 მხოლოდ დაცინვას, მხოლოდ შურსა,—სულით ობოლი.

სურვილი ჩემი ამ ქვეყანად არ დაგვირგვინდა,  
 ვერსადა ვბოვე სიყვარული და გული წმინდა,  
 უკან დავბრუნდი დაღალული და დაცემული.  
 მოვედი შენთან, მიმიღევი მშობელო დედა!...  
 მე შენს აღერსში, შენს თვალეებში დაბოლოს ვხედავ,  
 რასაც ამოდ დაეძებდა ამ ქვეყნად გული!..

### 2. ამა.

ნაირ ნაირად გადაშლილი, სუნნელოვანი,  
 უცხო ყვავილი, ჩემი გულის წყლულში გაშლილი,  
 ერთ თაიგულად შეკონილი მოგიტანე შენ,  
 მიიღე ძღვენად, შიგ გავხვიე სიმღერა ტკბილი.

გულზედ მივიკარ ეს ნობათი შენი ერთგულის,  
ამ ძღვენთან ერთად დაიხსომე—როდესაც მოკვდე,  
ეს თაიგული ნიშნად დარჩეს, მინდა, შენს ხელში,  
მინდა შენს გულში ვცოცხლობდე მე, მინდა გახსოვდე!

—

მხოლოდ გახსოვდე... არ მჭირია მე სიბრაღული..  
ამ ქვეყანაზედ მომნიჭია მე შეება სრული:  
აკი შენს გულში მე მეჭირა ერთხელ ადგილი!..  
და ამას გარდა, მომავალშიც მილიმის ბედი,  
სიკვდილის შემდეგც... ოჰ, ტკბილია, ტკბილი იმედი..  
შენ მე მიხილავ, ოდეს ტკბილი შემიპყრობს ძილი!..

—

## 3

ვნახე სიზმარი: საკუთარი მესიზმრა თავი,  
კარში გამოველ, სადარბაზოდ ვიყავ მორთული.  
სადაც სულისდგმა ჩემი ცხოვრობს, იქით წავედი,  
რომ მიმელოცნა--თხოვდებოდა ჩემი ორგული.

—

მივეც სალამი მოწიწებით, ასე უთხარი:  
„გილოცავთ, ტურფავ!.. თქვენ ხომ ეხლა ხართ დანიშნული!“  
და გაღიმება მსურდა, მაგრამ ვერ შევიძელი,  
მღულარე ცრემლი გადამევლო, მოხარშა გული.

—

და ეჰა ღმერთო!.. დავინახე ძვირფასი სახე!  
და იმ სახეზე ცრემლი სდინდა—მე დავინახე..  
გულმა ვერ შესძლო შეჩერება, ვერც შესძლო ძგერა..  
ოჰ, თვალნო, თვალნო, სატრფოს თვალნო, ასე მოხდა რად,  
ძილშიც იტყუეთ, ისე როგორც სტყუოდით ცხადად..  
და როგორც ცხადად... ეს ტყუილი არც ძილში მჯერა!..

—

## 4

აღარ მშორდება თავიდან მე ზღაპარი ერთი,

იმ ზღაპრიდან კი წინ მიდგია ვინმე ქალწული,  
სეირნობს იგი უდარდელად, სეირნობს იგი...  
და იმ ქალიშვილს მკერდში უცემს, მერწმუნეთ, გული!

მაგრამ ცივია თურმე იგი, როგორც ყინული,  
არ ეკარება იმას ტრფობა და სიყვარული,  
თან ჯიუტია, ამაყი, ამპარტავანი,  
არ იცის იმან თანაგრძნობა და სიბრაღეული.

მიხვდი თუ არა, მეგობარო, რატომ წყეული  
ეს ჩემი გული ისე დაძრწის, როგორც ეული,  
რატომ ჰგავს მოთქმას ჩემი ლექსი, ჩემი სიმღერა?!.  
იციან თურთა... და მგონია დამპირეს, დამსერეს.  
იციან თურთა... ისარია ჩემი გულის ეს...  
ამ ზღაპარშია ჩემი აწმყო და ბედის წერა...

## 5

სალამობით ძველ ოცნებით გატაცებული,  
დავიწყებული სიმღერების ვაცოცხლებ მე ხმებს,  
ვაცოცხლებ ძველ ხნებს და ცოცხლდება ძველი ტკივილიც,  
და თვალნი ჩემნი, როგორც ძველად კვლავ ღვრიან ცრემლებს.

როგორც სარკეში, კვლავ ცოცხლდება ჩემს გონებაში  
სახე დამწველი... ჩემი მკვლელი თურთა ასული.  
მშვიდათ ზის იგი, ისევ ნაზი, ვით ანგელოზი,  
მშვენიერება, ტკბილ ოცნებით გარემოცული.

და უცებ იგი ფეხზე დგება, წელში სწორდება,  
იკვეთს ნაწნავსა და ღიმილით მიახლოვდება,  
მისდა სახსოვრად მაძღვეს ხელში... ვიშ, გულის ტოლი!..  
ახ, ეს სატანა!.. ეხლა ჩემთან გაჩნდა ნეტა რად!..  
ძღვენი ნაწნავი, ხარხართა აქცია ბაწრად  
და... მარტო დავრჩი განწირული, სულით ობოლი!

დაშორებულნი, ისევ შეეხვდით ერთმანეთს ჩვენაში.  
„ჩემო სიცოცხლე, მოიგონებ თუ არა, როცა  
მკოცნიდი მე შენ!.. მაკოცებ კვლავ, როგორც წინეთა?“  
ჩემმა სიცოცხლემ მოიგონა... ისევ მაკოცა.

და ამის შემდეგ სიცილითა, ბავშურ ცელქობით  
გამომიწოდა ვარდის ყლორტი და ასე მითხრა:  
„მოუარევი ამას კარგათ... როს გაიშლება,  
მე ისევ მოვალ, მეგობარო!..“ თავი დამიკრა.

გაიშალა და კიდევ დასქენა ყლორტი ვარდისა,  
ჩემი სიცოცხლე, არც მოსულა, არც მოვა ისა,  
მხოლოდ კოცნა კი ცოცხალია და ისევ იწვის.  
ვხედავ ძვირფასის კობტა ბინას, ფანჯრის ქვეშ ვდგევარ,  
მთელ ღამეებსა ვატარებ იქ, აჩრდილსა ვგევარ  
მონა იმისი, კიდევ მონა ჩემი გულის თქმის.



## მთიური იდილია.

### I

მოჩანს მალღობზე ქოხი ობოლი,  
მოხუცი ვინმე ცხოვრობს იმ ქოხში...  
შრიალებს ფიჭვი და მთვარის შუქი  
ჩაქსოვილია იმ ფიჭვის ტოტში...

სავარძელი დგას შუაგულ ქოხში,  
უბრალო ღურგლის ნამუშიერი...  
ბედნიერია, ვინც იმაში ზის.  
და მე გახლავართ ეს ბედნიერი!

მკლავზე ნიკაპით ჩამობჯენილი

მიზის მე გვერდით კობტა გოგონა,  
მისი თვალები ვარსკვლავს მაგონებს,  
მისი ტუჩები არს ვარდის კონა.

და იმ მშვენიერ, მიმტაც თვალებში  
მოჩანს უძირო სიღრმევე ცისა...  
მიზის გვერდში და დაფიქრებული  
შემჩერებია თვალებში ისა.

იქვე კუთხეში მოხუცი დედა  
თავისთვის ართავს, ჩვენ არ გვიცქერის,  
მამასაც ხელში ჩანგი უჭირავს  
და სევდიანად, ხმა დაბლა მღერის.

ანძრევს ბაგეს და იღუმალი ხმით  
გოგონა ამბავს მეფურჩულება...  
ბევრი რამ უცხო, დიდათ საჭირო  
და საგულისხმო ყურს ეყურება.

„აი, რაც მოკვდა ბიცოლა ჩემი,  
მას შემდეგ ველარ გავდივარ კარში,  
იმიტომ რომ სირცხვილი არის,  
როგორ წავიდე მარტო ქალაქში!“

„აქ სიცივეა და მარტოობა...  
მოწყენილია ეს ჩვენი მხარე,  
ზამთარში კიდევ ეს ჩვენი ქოხი  
სამარე არის, სწორედ სამარე!“

მე უმწეო ვარ, მე მეშინია  
და შიშით ღამე არ მომდის ძილი—  
და ძრწიან ირგვლივ ალ-ქაჯ-ჭინკები,  
მე ხშირად მესმის მათი სიცილი“.

ჩამიფურჩულა ეს და დაღუმდა,  
რალაცას თრთოლვით დაუგდო ყური,  
თითქოს გარედან ქობს მოდგომოდეს  
იმისი მტერი—ქაჯი ბინძური.

ნაძვი კი ისევ შრიალებს გარეთ,  
ჯარა ტრიალებს, გულს გააქვს ძვერა...  
და უცებ ჩანგის სიმთა წკრიალსა  
აჰყვა მოხუცის ტკბილი სიმღერა.

„ნუ გეშინია მავნე სულების,  
ნუ გეშინია, ჩემო პატარა,—  
კეთილ სულების მძლავრი ლაშქარი  
შენ დასაცველად ფეხზე დამდგარა!“

## II

ფიჭვი შრიალებს, ფიჭვი საუბრობს,  
მთვარე მოადგა ეხლა ფანჯარას  
და მისი სხივით აღერსიანად  
სახეში უჭვრეტს ჩვენსა პატარას.

დედას და მამას უკვე სძინავენ  
ჩემთან დატოვეს პატარა ქალი,  
ჩვენ ისევ ვზივართ, ისევ ვსაუბრობთ,  
ძილს არ იკარებს არც ერთის თვალი.

„ვერ დავიჯერებ, რომ შეგეძლოს შენ  
მხურვალე ლოცვა და პირჯვრის წერა,  
შენი ტუჩების თრთოლვა, კანკალი  
ლოცვა რომ იყოს, არა, არ მჯერა.“

„ცივია შენი სახე, სიტყვები...“

არა, არა ვარ შენი ამყოლი!  
მაგრამ რათ არის ასე ცხოველი  
სხივი, მაგ თვალის გამონასროლი?

„მე მეშინია, ვაი თუ არ გწამს...  
მომეც პასუხი, გავიგო უნდა,  
გრწამს თუ არა შენ, როგორც რიგია,  
მამა, ძე მისი და სული წმიდა!“

„ჩემო პატარავ! ჯერ კიდევ ბალდი,  
როცა ვგორავდი დედის კალთაში,  
ღმერთს ვლოცულობდი,—მეუბნებოდენ  
რომ მამა ღმერთი არსებობს ცაში.“

„მეუბნებოდენ, რომ მან უცხოფრად  
შექმნა, დაბადა კაცი და ქალი,  
რომ მზეს და მთვარეს, ვარსკვლავთა გუნდებს  
მისცა, უჩვენა მან გზა სავალი.“

„მაგრამ პატარავ, რაც ვიზრდებოდი  
და თავში აზრი ფართოვდებოდა,  
უფრო შევიგენ, უფრო ვიწამე  
ვისაც ძე ღმერთი ეწოდებოდა.“

„რომელმაც ცოდვილ ადამის შვილებს  
მოგვცა კანონი სიყვარულისა  
და როგორც ქვეყნად მიღებულია,  
ჯვარცმული იქმნა ამისთვის ისა.“

„ეხლა კი, როცა ბევრი ვისწავლე,  
ეხლა პატარავ მე გითხრა მინდა,  
რომ სრული გრძნობით, თავ-დავიწყებით  
მე შემიყვარდა ის სული წმინდა,  
მე შემიყვარდა ის სული წმინდა,“



„რომელიც მძლავრზედ უმძლავრესია...  
დაუძლევია იმისი ხელი,  
იმან დილეწა ჯაჭვი მონების,  
მან შეარყია ქვეყანა ძველი.

„მან მისცა კაცსა მძლე სინიდისი,  
მან გაასწორა თავადი, გლეხი,  
უსამართლობას, ძალმომრეობას,  
ის მოევლინა ვითარცა მეხი.

„ლამის სიბნელეს მზის სხივით აბნევს,  
კინკებს, ავ სულებს მიდენის კარში  
და სიყვარულის, სიხარულისა  
ჩვენ გვეწოდება იგი ტაძარში.

„და რომ ასრულდეს ნება იმისი  
თავ-განწირული შეჰკრიბა ჯარი,  
მისცა მათ გული შეუდრეკელი,  
გაუტეხელი ხმალი და ფარი.

„მაღლა ფრიალებს იმათი დროშა,  
ხმალი იმათი ბჰყვრიალებს, ელავს...  
მითხარი, ნახვა ხომ არ გსურს მათი,  
რომ მკერდში გული, გატყობ, გიღელავს?..

„მაშ თუ გსურს ნახო, კარგი, განახვებ,  
არ გაგაწბილებ ჩემო პატარა:  
ჯარის კაცი ვარ მე იმ ლაშქრიდან,  
მაშ მოდი გულში ჩამეკარ ჩქარა!..



## მეოცნებე და რეალისტი.

გესმის თუ არა, ჩონგურის, თარის,  
და დაფა-ზურნის გაისმის ხმები,  
იქ, გაშლილ ველში, მწვანე მინდორში  
აღბათ ცელქობენ გოგო-ბიჭები!

— რის გოგო-ბიჭი! რის დაფა-ზურნა!  
რის მწვანე ველი! მწვანე მინდორი!  
რა გელანდება, ჩემო ძმობილო,  
ეს გოჭთა ჭყვირილს ბანს აძლევს ღორი.

გესმის თუ არა, საყვირის ხმები,  
მას მონადირე აძახებს ტყეში...  
შეხე მეცხვარეს—ცხვარს ერეკება  
და სალამური უპყრია ხელში!

— არც საყვირის ხმა, არც სალამურის,  
არც ერთი მესმის და არც მეორე;  
ვხედავ მხოლოდ, რომ სახლისკენ მიდის,  
ღორებს მოდენის ტყიდან მელორე.

გესმის სიმღერა? გულამდე მწვდება  
ნაზი სიმების ციური ჟღერა,  
ვხედავ ციურ დასს ანგელოზების  
და გულს ნეტარად გაუღის ძგერა.

— აბა ვინ მღერის, ერთი მითხარი,  
ჩემო კეთილო, რა გელანდება,  
ეს სოფლის ბიჭი ყაყანებს მხოლოდ  
ბატების გროვას შინ ერეკება!

აჰა, ზარის ხმაც! ღარიბ ტაძარში  
უკვე სანთლებმა იწყეს პარპალი  
და მოწიწებით მიეშურება  
ეკლესიისკენ ხალხი მაშვრალი.

— სცდები ძმობილო, რის ეკლესია,  
რის ზარების ხმა, ხომ არ გაბოდებს;  
ეს ხომ ეყვნების ჟღარა-ჟღურია—  
მწყემსი ბინაზე მიდენის ძროხებს!

აბა შეხედე, იმ ყვავილნარში  
გამოჩნდა, მოდის შევენება ქალი,—  
ეს ჩემი სატრფო, ჩემი სიცოცხლე  
ჩემკენ ისწრაფვის სურვილით მთვრალი!

— ხა, ხა, ხა, ხა, გონს მოდი ძმაო,  
რის შენი სატრფო! რის გულის ტოლი!  
ნუთუ ვერ იცან, ტყიდან ბრუნდება  
ჩვენი ტყის მცველის ბებერი ცოლი!..

ძალიან კარგი!.. იმ მეოცნების  
სიტყვებს შენ მიეც პასუხი კარგი,  
მაგრამ სცადევი თუ აღმოფხვრა შენ  
ის, რაც ჩემ გულში ღრმათ არის ნარგი!



დონია კლარჯ.

სალამო არის მშვიდი, მიმტაცი,  
ბალში სეირნობს ალკადის\*) ქალი  
სასახლეში კი ქეიფი არის,  
ისმის სიმღერა, სიმღერა მთვრალი.

\*) ალკადი—მსგეილი მოხელის სახელია ესპანიაში.

„ყველა მომბეზრდა, მომბეზრდა მათი  
პირმოთნეობით სავსე სიტყვები,  
მზეც კი ვარ მათთვის, მთვარეც, ვარსკვლავიც...  
უპ, რა მომბეზრდა ეს რაინდები!

„სულყველაფერმა დაჰკარგა ფასი  
მას შემდეგ, რაც რომ ერთი ვაჟკაცი,  
მოულოდნელად მე გავიცანი...  
შეუპოვარი, გმირი, მამაცი.

„ჩონგურით ხელში, მთვარის სხივებს ქვეშ,  
შავ თვალებიდან ის ცეცხლს აფრქვევდა,  
სახე მედგარი, კეთილშობილი  
წმინდა გიორგის მოგავგონებდა“.

ასე ფიქრობდა დონია კლარა,  
თან შესცქეროდა პირ გაშლილ მთვარეს...  
შეინძრა ბუჩქი და უცებ იგი  
ამ უცხო რაინდს ხედავს მდგომარეს.

ხელს ხელში აძლევს, ტკბილი საუბრით,  
ნელი ნაბიჯით მიდიან წინა...  
ნიავე ფოთლებს ეარშიყება,  
ვარდმა გაშლილმა ვერ მოითმინა.

ვარდმა გაშლილმა ვერ მოითმინა,  
სალამს იძლევა ეშხითა მწვარი...  
— შენ რად გაწითლდი კოკობ ვარდივით  
ჩემო სულისდგმავ, ერთი მითხარი!

— კოლომ მიკბინა, ჩემო ძვირფასო,  
უპ, მისი სისხლი ისე მწყურია,

ისე მძაგს კოლო შეჩვენებული,  
როგორც ურჯულო, უღვთო ურია!

— თავი ვანებოთ უღვთო ურიას!  
ამბობს რაინდი, უფრო ეკვრება...  
ყვავილთა ჯარი შეყვარებულებს  
ტურფა ხალიჩათ ფეხ ქვეშ ეგება.

ტურფა ხალიჩათ ფეხ ქვეშ ეგება,  
გარე ეხვევა სუნი დამტკბარი...  
—მართლა გიყვარვარ, არ მეხუმრები,  
ჩემო სულისდგმავ, ერთი მითხარი!

— მიყვარხარ ჩემო, მიყვარხარ ვფიცავ  
იესო ქრისტეს, ჩვენთვის წამებულს,  
ყოვლად წყეული ურიებისგან  
შეურაცყოფილს და უღვთოდ ჯვარცმულს.

— თავი ვანებოთ წყეულ ურიებს!  
ამბობს რაინდი, გულში ეკვრება...  
მიდიან წინ და მთვარის სხივებს ქვეშ  
ნაზი შროშანი მათ ეგებება.

ნაზი შროშანი მათ ეგებება,  
ნაზი შროშანი, ობლათა მდგარი...  
—ყალბი არ არის ეგ შენი ფიცი,  
ჩემო სულისდგმავ, ერთი მითხარი!..

„—არ არის ყალბი ეს ჩემი ფიცი,  
წმიდაა იგი—ფიცი არ მინდა,  
ისე წმინდაა, ვით ჩემი სისხლი  
წყეულ ურიის სისხლზეა წმინდა!..“

— თავი ვანებოთ ურიის სისხლსა!  
ამბობს რაინდი, გულში ეკვრება,  
და მიყავს იმას დონია კლარა  
წინ, ტალავერი იქ ეგულება.

ტკბილ სიყვარულის ჯაჭვით, ბორკილით,  
შეჰკრა, შებოჭა ყმაწვილი ქალი...  
ცოტას უამბობს, ბევრსა კი ჰკოცნის,  
გული ნეტარობს ვნებითა მთვრალი.

და საქორწილო მრავალყამიერს  
მღერის ბუღბუღი, ღამის შვენება,  
ციცინათელა თავზე დაჰხარის,  
ციმციმ-კაშკაშით გარსა ევლება.

ყურს უგდებს იმათ სულ ყველაფერი,  
ხმას აღარ იღებს არსა სულდგმული,  
მხოლოდ ხანდახან, დრო გამოშვებით  
ჰკვიან ყვაველთა ისმის ფურჩული.

მაგრამ დაბოლოს ეს ნეტარება  
გარემოებამ აღარ აცალა,  
დაფმა, ნალარამ, მთვრალმა სიმღერამ  
დიდ სასახლეში დაიგრიალა.

— უნდა წავიდე ჩემო ძვირფასო,  
მაგრამ ერთი მაქვს მე სათხოველი,  
სადაური ხარ, ვისი შვილი ხარ,  
უნდა მითხრა მე ეხლა ყოველი!

გრძნობითა მთვრალი, გალადებულის,  
რაინდი იკრავს დონიას გულში,

თითებს უკოცნის, სახეს უკოცნის,  
ტუჩებს უკოცნის, უძვრება სულში.

და ეუბნება: „დიდი ქალაქი  
სარაგოსი\*) ხომ გაგიგონია!..  
იქ ცხოვრობს ერთი ბრძენი ურია,  
მისი შვილი ვარ, ჩემო დონია!..



მე ხმალი ვარ და ალი, ჭიშნო.

მე ხმალი ვარ და ალი.

მე გავანათე თქვენ სიბნელეში და როცა ომი დაიწყო მე  
ვიბრძოდი წინ, მოწინავე რზმში.

ჩემს გარშემო აწყვია ცხედარნი ამხანაგებისა, მაგრამ ჩვენ  
ვსძლიეთ. ჩვენ ვსძლიეთ, მაგრამ ჩემს გარშემო აწყვია ცხედარ-  
ნი ამხანაგებისა. გამარჯვების ყიყინასა და სიხარულის ხმებში  
არეულია სამგლოვიარო ხმებიც. მაგრამ ჩვენ არ გვცალიან  
არც სამხიარულოდ, არც სამგლოვიაროდ. კვლავ სცემს დაფა  
ნალარა, წინ გვიდევს ახალი შეტაკება...

\*  
\* \*

თავი ანებე უაზრო ჩმახვას,  
თავი ანებე ყალბ ჰიპოტეზებს.  
და გულახდილი, სწორი პასუხი  
გვითხარ, მიუგე ამ წყევულ კითხვებს!

რატომ არის, რომ მძიმე ჯვარის ქვეშ  
სისხლში მოსვრილი გმინავს მართალი?  
რატომ არის, რომ ყალბსა და მჩაგრველს,  
ხელში უჭირავს უფლება, ძალი?

ვისი ბრალია! თუ გამარჯვება

\*) სარაგოსი—ქალაქია ესპანიაში.

არ ელის ქვეყნად ნანატრ სიმართლეს?  
ან და იქნება მასხრად გვიღებ ჩვენ?..  
ნუთუ შენ იღენ ამ სისაძაგლეს!..

დასაბამიდან გეკითხებით შენ...  
იცი გულს გვიკლავს ეგ კითხვა მწარი,  
შენ კი პასუხად სამარეს გვითხრი,  
ეს სადაური პასუხი არი!..



### გაფრთხილება.

თქვენ მეუბნებით: „ტყვილად ხმაურობ,  
შენ ვერ იქეკებ წუთი სოფელში!“  
სასტიკად სცდებით! სასტიკად სცდებით!  
ნახავთ, რომ მეხიცი მიპყრია ხელში.

მე თქვენ გაფრთხილებთ,—დაიმახსოვრეთ,  
ოდესმე ჩემი ჟამიცი დადგება,  
დავსძახებ მაშინ საშიშარი ხმით,  
იქეკებს მეხიცი, დაგრიალდება.

და ბევრი მუხა იმ მეხის ძალით  
ქვე დაენარცხვის დიდი ხრიალით,  
ბევრ სასახლეებს, ბევრ სალოცავებს  
დასწვავს იქიდან ავარდნილ ალით!..



### იმპერატორი ჰენრიხს მე-IV.

ღამით, კანოსის კოშკის წინაშე,  
როცა წვიმდა და როცა ციოდა.  
ფეხ ტიტველი და თავზე მოხდილი  
იღვა ჰენრიხი, ბედს უჩიოდა.



კოშკის ფანჯრიდან მეფე ჰენრიხსა  
გადასცქეროდა არსება ორი:  
ერთი მათგანი მატყლდა იყო  
და მეორე კი პაპა გრიგორი.

მკრთალი ტუჩებით მეფე ჰენრიხი  
მორჩილად ამბობს „მამაო ჩვენოს“,  
მაგრამ კი გულში ცეცხლი ედება,  
გული იძახის: „შენ შეგაჩვენოს!..“

„შორს სამშობლოში, ძვირფას მამულში,  
მთისა მწვერვალნი ცასა სწვდებიან,  
იმათ გულშია მადანი არის,  
რისგან ცულდები იქედებიან.“

. შორს სამშობლოში, ძვირფას მამულში  
ბევრი მეზრდება მუხა მაგარი  
და მუხისაგან გამოითლება  
გამძლე, უზადო ცულდისა ტარი.

„და შენ მამულო, ჩემო მშობელო,  
შენვე დაბადებ ვაჟკაცს, ხალხის მხსნელს  
რომელიც ხელში აიღებს ცულდას  
და თავს მოჰკვეთს ამ შხამ კბილა გველს!“



კანოსა.\*)

ქრისტიანობის ისტორიისა  
გადაეშალა რვეული ჭოტსა,  
უცებ აიღო თავი მალსა და  
იკითხა: სად არს ნეტავ კანოსა?

\*) კანოსა—ძველი კოშკი, რომის პაპის რეზიდენცია, სადაც 1077 წელს იმპერატორი ჰენრიხ მეოთხე მივიდა პაპასთან ფეხ-ტი-ტველი და თავ მოხდელი, რომ პაპის იმისთვის შეენდო...

პასუხი მისცა ბებერმა ყვავმა:  
(ის იქვე იჯდა ფრთა დაშვებული)  
— ძველი კანოსის, ჩემო დაია,  
გზა კვალი არის დავიწყებული.

ავაშენებდით იმის მაგიერს,  
მაგრამ ბევრი რამ გვიშლის ეხლა ხელს:  
ვერ მოვესწრებით მორჩილად მოსულს  
იქ ვერც მონას და ვერც მბრძანებელს...



### უძილო ღამე.

როცა მე ღამით მომაგონდება  
სამშობლო მხარე, გული ღონდება,  
რომ დავიძინო არ არის ძალი  
და მწარეთ, მწარეთ ვსტირი საწყალი.

მიდის დროება, წელსა ცვლის წელი,  
რაც არ მინახავს დედა მშობელი,  
შორს არის იგი, მოხუცებული,  
ჩემი სიშორით დამწუხრებული.

მატულობს გულში, მატულობს სევდა —  
რა მენატრება, იცოდეთ, დედა!  
ახ, ერთხელ მაინც, ერთხელ ვნახავდე...  
გთხოვ, შემოქმედო, იმას ფარავდე!

ეჰ, როგორ, ბეჩავს, ვუყვარვარ შვილი:  
როცა მომიდის მისი წერილი,  
წერილს ეტყობა -- უკრთოდა ხელი,  
თვალთავან კრემლი სდიოდა ცხელი.

უკვე შესრულდა თორმეტი წელი...  
(ვერ დავივიწყე, ვერ შევიძელი!)  
უკვე შესრულდა თორმეტი წელი,  
რაც არ მინახავს დედა მშობელი!

ჩემი სამშობლო არის ძლიერი,  
ვერას დააკლებს მოსისხლე მტერი,  
ვერა, ვერ დამძლევს იმაზე სევდა,  
მაგრამ იქ ცხოვრობს მოხუცი დედა.

ჩემი სამშობლოს მე მაქვს იმედი,  
მაწუხებს მხოლოდ მოხუცის ბედი:  
რაც რომ დავტოვე სამშობლო მხარე,  
მას შემდეგ ბევრმა ნახა სამარე,

ვინაც მიყვარდა... ვიწყებ მათზე ფიქრს,  
გული მიშფოთავს, თვალი ცრემლებს ღვრის,  
მაგონდებიან მეგობრები მე  
და გულს აწვება დიდი სიმძიმე.

ვერდში უდგება ცხედარს ცხედარი,  
კვლავ გული შფოთავს, მდის ცრემლის ღვარი...  
ეჰ, მადლობა ღმერთს, უკვე თენდება,  
ჩემ ლოგინის წინ მზის შუქი დგება

და ჩემი ცოლი ჩამცქერის თვალში,  
შავი ფიქრებიც მიდიან კარში...



ოქტომბერი 1849 წლისა.

დაიგრიალა ქარიშხალმა და მიქრა იგი,  
მიყუჩა ირველივ ბრძოლისა ხმა, მიყუჩდა შიში.

და გერმანია, ეს დიდი და სათუთი ბავშვი,  
დღესასწაულის შესახვედრათ არს სამზადისში.

მხოლოდ ოჯახზე ვფიქრობთ ეხლა მარტოდენ ჩვენ,  
რაც არ ეხება ამ საზრუნავს, აღარ გვინდა ის,  
უკვე მოფრინდა მშვიდობისა მერცხალი უკან,  
ბუდე მონახა, სადც ცხოვრობდა იგი აქამდის.

მთვარის სხივებს ქვეშ სძინავს ტყეს და სძინავს მდინარეს,  
ჩემს სამშობლოსაც ტკბილათ სძინავს... მეფობს დუმილი...  
ჩუ! თოფის ხმა... ამხანაგი თუ დაგვიხვრიტეს...  
მაგრამ იმაზედ აღარა ღირს ბევრი წუხილი.

ახია მაზედ, იარაღი აღბათ უპოვეს...  
რათ დადიოდა თოფით ხელში?.. გვიბძანეს აკი  
თოფ-იარაღი მტრებს გადავცეთ და ჩვენ კი... ჩვენ კი  
ისე მოვიქცეთ, ვით მოიქცა ჰორაცი ფლაკი.<sup>1)</sup>

ან და იქნება ის გრიალი მაშხალის ხმაა:  
დიდი ჰიოტეს მოსაგონრათ დიდი, პატარა  
ერთად შეყრილა და პოეტის პატივსაცემლად  
თვითონ ზონტაგიც<sup>2)</sup> საფლავიდან მკვდრეთით ამდგარა.

ან ფრანცმა ლისტმა<sup>3)</sup> თუ დასძახა ძველებური ხმით,  
ის ცოცხალია და ქრილობა როდი ატყვია,  
ვერა დააკლეს მას ბრძოლაში, ვერ მოჰკლეს იგი,  
ამორდა იმას რუსთ მათრახი, კრაატის ტყვია.<sup>4)</sup>

1) ჰორაცი ფლაკი—ძველი რომაელების პოეტი, რომელიც ბრძოლის ველიდან გაიქცა.

2) ზონტაგი—განთქმული მომღერალი ქალი.

3) ფრანც ლისტი—განთქმული კომპოზიტორი, ჩამომავლობით უნგრელი.

4) დამარცხებულ ავსტრიის რეაქციონურ ჯარებს, რუსთა იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ჯარი მიაშველა უნგრეთის წინააღმდეგ, რომელიც დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. კრაატელები—ეროვნებაა უნგრეთის, რომელიც აგრეთვე რეაქციას მიეხზრო უნგრეთის წინააღმდეგ.

სისხლით მოირწყო უნგრეთი და თავისუფლებას,  
ვერ უპოვია მყუდრო ბინა, ნავთ-საყუდარი,  
სამაგიეროთ თავს კარგათ გრძნობს რაინდი ფრანცი  
და მისი ხმალი შენახული კამოდში არი.

ღიახ, გადარჩა. და როცა ის მოხუცებული  
თვის შვილი-შვილებს მოუყვება უნგრეთი ამბებს,  
უამბობს გმირთა გმირულ ამბებს... „ჩემ ხმალთან ერთად  
ბუჩქში ვიწექო“, ამაყურად ზედ დაუმატებს.

ეჰ, მაღიარო, მაგონდება რა შენი ხვედრი,  
ველარ ვთავსდები ჩემს ნემეცურ მე ტანსაცმელში,  
მკერდში, ვით ზღვაში მძლავრი ტალღა, იბრდება შური  
და მჭრელი ხმალი მსურის მეპყრას შეუდრეკ ხელში.

კვლავ მესმის, მესმის ღიდებული, მიმტაცი ხმები,  
კვლავ დამძახიან პოეტურსა, გმირულ სიმღერას,  
სადაც ამკობენ ნიბელუნგთა გმირულ საქმეებს,  
სად გვიამბობენ სევდის მომგვრელ მათ ბედის წერას.

ერთი ყოფილა ქვეყანაზე რჩეულთა ხვედრი,  
ერთი სიმღერა უნდა ითქვას ახალზე, ძველზე,  
მხოლოდ სახელნი იცვლებიან კეთილშობილთა,  
და საქმენი კი ერთი რჩებათ მათ ბრძოლის ველზე.

ერთი ყოფილა ქვეყანაზე გმირთ ბედის წერა:  
იმათი რაზმი უფლებებისთვის იბრძვის და კვდება,  
ბრძოლის ველი კი, გმირთა სისხლის უხვად მორწყული,  
მათ წინააღმდეგ გამოსვლა შავ ძალას რჩება.

და ეხლაც დათვი იშველია ომში მოხვედრა,  
რომ დასცეს ერი უფლებებისთვის ფეხზე ამდგარი...

მაგრამ დამშვიდდი მაღიარო, შეურაცყოფა  
მეტი გვადგია ჩვენ, ვიდრე შენ და ბედიც მწარი.

შენ დაგამარცხა დათვ-მოზვერმა პირდაპირ ომში,  
შენც ხომ იხილე შენი თვალით მტრებისა მძორი!..  
და ჩვენ კი... ჩვენ კი... ჩვენ გვბატონობს, კისერზე გვაზის,  
წუნკალი ძაღლი, ბილწი მგელი, მსუნაგი ღორი.

ძაღლის ყანყალი, მგლის ღმუილი, ღრუტუნის ღორის,  
სად შემოძლია ავიტანო?... და სუნი მათი?..  
მაგრამ, პოეტო, სჯობს დაჩუმდე, შენ სწეული ხარ  
და სწეულსა კი ვერას არგებს ეს მასლაათი...

\*  
\* \*

მსგავსი წიგნების წერას და ბეჭდვას,  
ვერა, ვერ გირჩევ, შენ შეგობარო!  
თუ პატივი გსურს, თუ სიმდიდრე გსურს,  
უფროსების წინ სჯობს მოიხარო!

ემაგრე თუ სჯი შენ ხალხის ბრბოზე,  
ნუ წამოისვრი მაგ სიტყვებს უცებ,  
ნუ, ნუ ეხები მაღალ ხარისხებს,  
ნუ დაიმტერებ ბერებს და ხუცებს!

თორემ ინანებ: მაღალ ხარისხებს  
გძელი აქვთ ხელი, არ ზოგვენ მტერებს,  
ბრბოს მახვილი აქვს სმენა და ყური  
და მჭრელი ენა ხუცებს და ბერებს!



## განცხადება.

ჩვენ, ბურგომისტრი და მთლად სენატი,  
ამით ვაცხადებთ ჩვენ სურვილ-ნებას:  
ქუას დაუხმეთ, თუ თავი გიყვართ,  
გვერდს ნუ აუხვევთ შემდეგ ბრძანებას,

ჩვენ ერთგულ ხალხში, უცხოელებმა  
დასთესეს შური, დასთესეს მტრობა,  
მამულიშვილთა შორის კი, ვგონებთ,  
ბევრს როდი მოსწონს ეს თავხედობა.

მათ ღმერთი არ სწამს, ხოლო ჩვენ ხალხსა  
ეს დიდი ცოდვა ღმერთმა აშორა...  
უფროსიც არ სწამთ, მაგრამ დაფიქრდით,  
მთაი და ბარი ვინ გაასწორა!

ქრისტიანი ხარ შენ, თუ ურია,  
ასე გიბრძანებს შენი მთავრობა—  
როცა დაღამდეს, დაჰკეტეთ კარი,  
არ შეიძლება ღამით ვაჭრობა,

თუ სამი ერთად შეიკრიბებით,  
წამსვე ერთმანეთს უნდა გაშორდეს,  
ღამით უფანროდ, მზგავსად ქურდისა,  
ქუჩაზედ, ვბრძანებთ, არვინ გამოჩნდეს.

თუ იარაღი, ხანჯალი, თოფი  
აქვს ვისმეს, წამსვე გადასცეს პრისტავს,  
თორემ სასტიკად ჩვენ დავსჯით ურჩებს,  
რატომ იღუპავთ ტყუილ უბრალოდ თავს!

თავის სახლს გარეთ, ვინც პირს გააღებს

წამსვე ტყვიითა გაიგმირება,  
მუნჯურად კიდევ ნიშნის მიცემა  
დანაშაულად ჩაირიცხება.

მხოლოდ სიკეთე გვწყურია თქვენი,  
გვსურს ავაშოროთ ხიფათი, ქირი,  
თუ გსურთ გფარავდეს თქვენი მთავრობა,  
თვალი დახუჭეთ, დამუწეთ პირი!..



### ვირთხ აწიგვნები.

ღელვა დაიწყეს ცხოველებმა და საყვედური,  
მოსწყინდათ იმათ რესპუბლიკა, თავისუფლება,  
მოსწყინდათ იმათ ერთად ყოფნა, თანასწორობა,  
ნაწილ ნაწილად დაიშალენ, გამართეს კრება.

ატყდა ყვირილი, ჟრიაბული, შფოთი, ცილობა,  
ერთს ერთი სურდა დიქტატორად, სხვას სხვა მოსწონდა,  
ხრიკი, ჭორები უთვალავი გამოიგონეს,  
პარტიულ ბრძოლას დასასრული აღარა ჰქონდა.

ვირთხა წოდებამც კომიტეტი ამოირჩია,  
მოხუც ვირთხაგან შეადგინა... სახელ ქებული  
იმითი იყვნენ ის ვირები, რომ ეროვნული  
მათ კოკარდები შუბლზედ ჰქონდათ მიწებებული.

ამ ვირთხა შორის მომხრე ჰყავდა აგრეთვე ცხენსაც,  
მაგრამ როდესაც ერთმა ცხენი წამოაყენა,  
ვილაც დიდყურამ წამსვე სიტყვა გააწყვეტინა:  
„სუ, მოლალატევ! მოლალატევ!..“ ჩაიგდე ენა!

„გვარის შემრცხვენო, ვირის სისხლი არ არის შენში...“



არ უნდა ამას ბევრი ფიცი და ლაპარაკი,  
რომ არ ხარ ვირი, არ ხარ ვირი... შენი მშობელი  
ვირი არ არის, ალბათ არის ფრანგული ჯაკი!

„ან თუ არ ჯაკი, სხვა ვინმეა შენი მშობელი,  
სხვა ჯიშის მხეცი, ხოლო ვირი არა და არა!..  
ხმა შენ მიგიგავს ებრაელსა... თუ ურია ხარ,  
აქ რომ ჩაგწიხლოთ, ჩაგაქვავოთ, ესეც არ კმარა!

„მაგრამ თუ წახდა საქმე და შენ მართლა ვირი ხარ,  
ალბათ დაბალი ღირსების ხარ, გლეხი ხარ, მღილი,  
უცხო იქნება მაშინ შენთვის ვირული სული,  
მისი სილაღე, მისტიციზმი კეთილშობილი.

„ჩვენ კი... სახელი ნამდვილ ვირთა ძვირია ჩვენთვის,  
ცას და ქვეყანას გვირჩევნია ჩვენ ეგ თვისება...  
ღიას, ვირნი ვართ და ჩვენ კუდთა თითო ბალანიც,  
ვთქვათ, რომ გაცოცხლდეს, უეჭველად ვირი იქნება!

„რომაელი, ან სლავიანი ნუ კი გგონივარ,  
მე ქეშმარიტი დიდყურა ვარ, ნემეცი ვირი,  
(ვით წინაპარნი ჩემნი ვირნი, კკუით ცნობილნი)  
მოუსყიდველი, უანგარო და პირდაპირი.

„ძველად ცხოვრობდენ ჩვენნი ძველნი, ვით ვირს შეშვენის,  
არც ერთხელ იმათ არ უნახავთ არსად სირცხვილი,  
რომ მოჰკიდებენ ზურგზე ტომრებს ხორბლითა სავსეს,  
თვითონ იცოდენ მერმე იმათ სად არს წისქვილი.

„არა ისინი არ მომკვდარან, თუმც მათი ძვლები  
დიდი ხანია რაც აღგვილან მიწის პირიდან,  
მაგრამ იმათი წმინდა სული, უმანკო სული  
ღიმილით დაგვტრფის ჩვენ, მათ შეილებს, უძირო ციდან.

„ოჰ, წინაპარნო, წინაპარნო, ჩვენ გვსურს თქვენ გავხადეთ, სულ ყველაფერში გვსურის ვიყოთ ჩვენ თქვენი ღირსი, თქვენი შვილები, ვირთა გზიდან ვით გადაუხვევთ, თქვენ გვყავხართ მიზნად, ღბინს ვეწვივით, თუ გასაჭირში.“

„ღმერთო! რა ბედი გვეწია ჩვენ: ვირის შვილობა! იმ დიდ ყურათა ვართ ჩვენ მოდგმა, იმათი თესლი!.. მზად ვარ ვიყვირო, რომ ვირი ვარ, ვირი ნამდვილი, მზარ ვარ ვიყვირო!.. რას დამაკლებს შური და გესლი!..“

„მშობელი ჩემი იყო ვირი, ნემეცი ვირი, (მსგავსს ვირსა ეხლა ძვირად ჰპოვებთ, თქვენ თვითონ იცით!) მე დედა ჩემმა ვირად მზარდა, ვირად გამწაფა, მე დედა ჩემმა გამომკვება ნემეც ვირის რძით!“

„ვირის მოდგმა ვარ, მათ მივბაძავ, ქებულ წინაპრებს, ჭირსა თუ ღბინში ისინია მიზანი ჩემი, ვირთა ჯიშის ვარ და როგორც ვირს, მიყვარს, მიყვარს მე პატროსანი, დიდებული ვირების თემი.“

„და ვინაიდან მე ვირი ვარ, გირჩევთ ვირებო, დიდყუროვანთა გმირთა შორის მონახოთ გმირი, ააშენევით ვირთ სამეფო და ვირთა მეფედ აუცილებლათ აირჩიეთ დიდყურა ვირი.“

„ჩვენ ხომ ყველანი ვირები ვართ, მაშ ძირს ცხენები! ძირს ბედაური! ვირებს გვინდა მეფე დიდყურა! ვირს გაუმარჯოს! ვირს სიცოცხლე მრავალყამიერ! დიდყურა ვირებს—ვირი მეფედ! ვირებო, ურა!“

ასე ამბობდა პატრიოტი და ირგვლივ მისა გაისმა გმირთა მოწონების ტაში, გრიალი,

ჩლიქს არ ზოგავენ დიდყურანი და არც მარცხ  
შეშინებულმა ამ ღრიალით, მორთო წრიალი.

მუხის ფოთლების გვირგვინითა მორთული თავით  
იდგა ვირთ შუა ორატორი, ლაღად, ფხიანად,  
მადლობის ნიშნად თავს აქნევდა და თავის კუდსა  
ათამაშებდა მოხთენილად, ლაზათიანად...



### თავზედ ხელაღებული

(Enfant perdu).

დავიწყებული მეომარი თავისუფლების,  
ოცდაათ წელსა მე გუშაგად ვიდექ, ვიბრძოდი.  
არ მოველოდი გამარჯვებას მე ამ ბრძოლაში,  
ცოცხალი უკან, რომ ვერ მოვალ, კარგათ ვიცოდი.

ჩემს სიახლოვეს, თფილ კარვებში ხვრინვა ისმოდა,  
მე კი ღღე-ღამე ფეხზე ვიდექ, სად იყო ძილი!..  
მეგობართ ხვრინვა ჩემ გარშემო არ მაძინებდა,  
თორემ ხან და ხან მივწვებოდი ილაჯ მიხდილი.

მეპარებოდა მოწყენა მე და თანაც შიში,  
მხოლოდ სულელი არ გრძნობს ხოლმე შიშს განსაცდელში,  
სტვენას ვიწყებდი და მოწყენა ჩემი ქრებოდა,  
მღერას ვიწყებდი და უშიშრად ვიდექი ბნელში.

ყურები მუდამ დაცქვეტილი და თოფი ხელში...  
ჩუ! აგერ მოჩანს მავნე სული, ბოროტი მტერი!..  
ველარ წამიხვალ!.. მოვიმარჯვე თოფი ხელში და  
მტერი დაეცა... გამარჯვების სიმღერას ვმღერი...

მომხთარა ისიც, რომელიმე გულადი მტერი  
მომპარებია, არ აცდენდა არც იგი მიზანს...  
არას დაფარავ - აბა ამით რა გაკეთდება!—  
მრავალ ქრილობის თქვენ იხილავთ ჩემს ტანზე ნიშანს.

—  
სად ხარ მორიგევ? სისხლი მდის და ერთობ ვსუსტდები...  
ერთი დავეცი, ჩემს მაგიერს ითხოვს მამული...  
დამარცხებული არ გეგონოთ: ჩემი ფარ-ხმალი  
ხელში მიჭირავს... მხოლოდ მკერდში გამისკდა გული!..



# ს ა რ ჩ ე კ ი .

ქუჩის ქუჩი (მოკლე ბიოგრაფია)	3	პპ.
მეგობარ მეთხველს	33	"
8 სიმღერები	39	"
ისევე სამშობლოში	55	"
სერაფინას	66	"
სეუელიკას	70	"
გარტუნზას	71	"
კლარისას	72	"
კუმას	—	"
კატარინას	73	"
უცხოეთში	74	"
ტრადედია	75	"
სხვა-და-სხვა	76	"
სანუტები	100	"
მთაური იდილია	103	"
მეოცნებე და რეალისტო	107	"
დონია კლარა	108	"
მე სმადი ვარ და აღი	112	"
გაფრთხილება	113	"
იმპერატორი ქუჩის მე-IV	—	"
კანას	114	"
უძილო დაძე	115	"
ოქტომბერი 1849 წლის	116	"
განტანდება	120	"
ვირთა აჩუქებები	121	"
თავსევე სეუადებულო	124	"

